№ 2814
შაბათი,
7 მაისი

ცნობის ფურცელი

№ 2814
შაბათი,
7 მაისი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი". პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე,—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

კვირას, 8 მაისს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და ძეგლის კურთხევა განსვენებულის

ლადო ალნიაშვილისა,

რასაც აუწყებთ მისს პატივისმცემელთ განსვენებულის დანი ნუშო ალნიაშვილისა და ნინო მირიანაშვილისა. (2—უ.—1)

კვირას, 8 მაისს, 12 საათზე, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის პანაშვიდი გარდაცვალებულის პოდპოლკოვნიკის

ილარიონ გაბრიელისძის ქავთარაძისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ დისწული მისი **ევპრაქსია პეტრეს ასული პრინცისა და ძმის-წული პოდპოლკოვნიკი მიხეილ ნიკოლოოზის ძე ქავთარაძე.** (1—ნკ.—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი

მოსდის ყოველ-კვირა

ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის

შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.

ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.

ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—19)

ორშაბათს, 9 მაისს, საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენილი იქნება **პირველად ქართულ ენაზე**

სევილიელი დალაქი

ოპერა როსინისა, თარგმანი გუნიასი. (3—3)

სახაზინო თეატრი კვირას, 8 მაისს

ვ. ს. **ალექსი-მესხიშვილი** ქართველ არტისტების მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა**

I
კაცობრიობის კეთილისმყოფი
პიესა 3 მოქმედებად ფილიპპისა, თარგ. ვ. გუნიასი.

II
არც აქეთ, არც იქით
ვოდევილი 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ბ-ნნი **ტასო აბაშიძე, დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ნ. საფაროვი;** ბ-ნნი **ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, შათირიშვილი, შალიკაშვილი, იმედაშვილი, გვარაძე, იორდანიშვილი** და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

იყიდება

ძლიერ იაფად: რკინის კრაოტები, სტოლები, ბუფეტის და ტანისამოსის შკაფები, შკაფი საქირურგო იარაღისათვის, სკამები, სკამები ვენის, მატრასები, ლეიბები მატყლის, ბალიშები, სავარძელი კბილის საექიმო და ავადმყოფის სატარებელი, საათი, ლამპები, საცვლები, ხალათები, ფეჩი თუჯისა ქვა-ნახშირისათვის, სარკე, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, მიკროსკოპი, სტერილიზატორი, სხვა და სხვა საქირურგო იარაღები, ტახტები, ელექტრონის მაშინები და მრავალი სხვა ოჯახისთვის სასარგებლო ავეჯეულობა. ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან.

საარტისტ. საზოგადოების საკონცერტო დარბაზში

8 მაისს, **შილლერის გარდაცვალებიდან** ასი წლის შესრულების სახსოვრად ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო დილა. **მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი საიმპერატორო თეატრების არტისტი ქალი პაპაიანი, პუშნოვი; ბ-ნნი: დონსკოი, გორევი, თავ. ბარიათინსკი, დერჟავინი, კაპანაკოვი, კნოტე, ნელიდოვი, ფიუსტი.

დასაწყისი ნაშუადღევის 12½ საათზე. ბილეთები გაიყიდება მხოლოდ საარტისტო საზოგადოების კასსაში. (0—3)

იმერეთის სამღვდელოების სანთლის საწყობი

ამით აცხადებს, რომ საჭიროა გამგე ამ საწყობისა. გამგედ უნდა იყოს უმრევლო მღვდელი, რომელსაც დაევალება: 1) საწყობში მზა-მზარეულ სანთლის მიღება და გაყიდვა, 2) წარმოება სანთლის საწყობთან არსებულ საეკლესიო ნივთების საწყობისაც, თუ ის უკანასკნელი არ გადავიდა კერძო მოიჯარადრის ხელში, 3) ვაჭრობის წარმოება სხვა სავაჭრო დაწესებულებათა შემსგავსებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის უნდა ვაჭრობდეს კვირა-უქმეებშიაც, დილით, რვა საათიდან თორმეტამდის, 4) სამსახური ამ სამწყსოში არა ნაკლებ ორი წლისა და 5) წარმოდგენა არა ნაკლებ ორი ათას მანეთად ღირებულ გირაოსი.

გამგეს მიეცემა წელიწადში შვიდასი (700) მანეთი და საეკლესიო ნივთთა საწყობის წმიდა მოგებიდან ათი პროცენტი (10%). მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს. (10—ნკ.—)4.

ქირავდება ძლიერ შეღავათიან ფასებში

ორი კარგი სადგომი

თითო სადგომი შეიცავს ექვს ოთახს თავისი მოწყობილობით. ველიკოკნიაჟესკის ქუჩა. მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან. (5—3)

რესტორანი
„ფუნიკულერი".
სადილი 4 ბლუდი 1 მან.
სადილები 7 მაისისთვის
1. ბორში მოლოროსიული.
2. ზუთხი რუსულათ.
3. ბატი—ვაშლებით.
4. სლივოჩნი მაროჟნი.
და 5. ყავა. პატრონი **ნ. ჩიკვაიძე**

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—55).

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე და საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (30 6.—3)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—24)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—26)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

5 მაისი

სიტიაზა, 5 მაისი. 1 მაისს იაპონელებმა ჩვენის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ გამოილაშქრეს. კაზაკების სუსტმა წინა რაზმებმა უკან დაიხიეს. ჩინელების სიტყვით, იაპონელები ცინხეს ხეობაში აგროვებენ სურსათს, პოციაცზისთან. მოსალოდნელია, რომ იაპონელები ჩქარა გამოილაშქრებენ.

ჰონკონგი, 5 მაისი, რეიტერის კორესპონდენტს სამ მაისს, ღამის თერთმეტ საათზე, შეუმჩნევია 25 მილზე წმ. იოანეს კონცხიდან, ვანჩოუანის გზაზე, 150 დატვირთული ჯონკა; როგორც ეტყობოდა, სურსათი რუსის ესკადრისთვის იყო დანიშნული. როცა გემი მიუახლოვდა ჯონკებს, უკანასკნელებზე აიღეს სიგნალები. ვანჩოუნში სიმშვიდეა.

ოკუს არმია (ფუზანის გზით). 1 მაისი. რკინის გზის შესწორება დასრულდა. მიმოსვლა ტელინამდე გაიხსნა. დანგრეულ ხიდების მაგივრათ დროებით ხიდებს აგებენ. ტელინის ჩრდილოეთით საჩქაროდ ასწორებენ გზას. იაპონიიდან მასალა მოაქვთ. მდ. ლიაოხეთი ათასობით მოდიან ჯონკები და მოაქვთ ტვირთი.

საიგონი, 5 მაისი. 25 აპრილს რუსის ესკადრები შეერთდნენ ტერიტორიალურ წყლებს გარეშე. ესკადრები 1 მაისს გავიდნენ ზღვაში და აღმოსავლეთისკენ გაემართნენ. საჰოსპიტლო გემი „ორიოლი", როგორც ეტყობა, შანხაისაკენ წავიდა.

სინგაპური, 5 მაისი. „ლოიდის" ცნობით, 2 მაისს გემი „სეგოვია" შეხვდა კონცხ ვარელიდან 40 მილის მანძილზე 42 გემისაგან შემდგარ რუსის ფლოტს, რომელიც ნელა მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ.

ტოკიო, 5 მაისი („რეიტერი"). აქ მიღებულ ცნობებით, რომ როჟესტვენსკის ესკადრა, გავიდა თუ არა ხანკოელიდან, ჩრდილოეთისაკენ გაემართა. საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, სწორეთ ბრძოლა ამ მოკლე ხანში მოხდებაო. ფიქრობენ, რომ რუსები დაამზადებენ ნახშირსა და სურსათს და შეუძლიათ ახლავე წავიდნენ წინაო. ზოგიერთ წრეებში ის აზრი გავრცელდა, როჟესტვენსკი დემონსტრაციას მოახდენს ფორმოზასა და პესკადორების ახლოს, შემდეგ წყნარ ოკეანეში შევიდეს და ეცდება ვლადივოსტოკამდის მიაღწიოსო. ყოველ შემთხვევაში ნამდვილი არაფერი იციან როჟესტვენსკის პლანების შესახებ.

სინგაპური, 5 მაისი. „ლოიდის" სიტყვით, გემმა „გონგკანმა" დაინახა 3 მაისს სამხედრო გემები ჩრდილოეთის სიგანის მე-13 გრადუსსა და მე-39 წუთზე და აღმოსავლეთის სიგანის მე-3 გრადუსსა და 38 წუთზე.

კრონშტადტი, 5 მაისი. გავიდა ზღვაში ბალტიის ფლოტის რაზმი—კრეისერები „მინინი", „გერცოგ ედინბურგსკი", ჯავშნიანი გემები—„ადმირალი გრეიგი", „ადმირალ ლაზრევი", „პერვენეცი", „კრემლი", კონტრ-ადმირალის გაუპტის უფროსობით.

უფა, 5 მაისი. გუბ. სოკოლოვსკიმ ღამე მშვიდათ გაატარა, მაგრამ შიში მაინც აქვთ. ხვალ მოელიან უფაში პროფესორ რაზუმოვსკის. ღამით უშაკოვსკის პარკში, რომელიც გუბერნატორის სადგომის საზღვრათაა, დაეცნენ გოროდოვოის. ბოროტ-გამზრახველთ აისარგებლეს ბნელით და მიიმალნენ პარკში; გუბერნიის მმართველმა უბრძანა სწრაფად გაენათებინათ ელექტრონით ბაღი; პატრულმა და ცხენოსანმა პოლიციამ მაშინვე დაიჭირეს დამნაშავენი.

ჩიტა, 5 მაისი. ბურიატების სიეზდმა დაადგინა, შემოღებულ იქნას პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლება მონღოლურ ენაზე, გაუქმებულ იქნას ბუდისტების და შამანისტების სამასწავლებლო სემინარიებსა და ინსტიტუტებში შესასვლელ უფლებათა განსაზღვრა, გადიდებულ იქნას სტიპენდიების რიცხვი სასწავლებლებში, ნება მიეცეთ გამოსცენ გაზეთი მონღოლურ ენაზე და დაერქვას ბურიატებს ბუდისტები,—არა ლამაიტები. გადასწყვიტეს, ყველა ზემოხსენებულზე იშუამდგომლონ და გაგზავნონ პეტერბურგში დეპუტატებათ საერო და სასულიერო პირნი იმ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ, რომელიც დაწესებულია სარწმუნოების საკითხების გამოსარკვევათ; აგრეთვე ითხოვენ ბეჭდვისა და საზღვარ-გარეთიდან სადმრთო წიგნების შემოტანის თავისუფლება, თავისუფლად შემოიტანონ ხოლმე ტიბეტიდან წამლები, უფრო მეტი თავისუფლება მიეცეს ხამბოლამას და შეასრულონ ღვთის მსახურება ჩიტაში.

ეკატერინოდარი, 5 მაისი. საბჭომ გუშინ უარჰყო მეეტლეების მოთხოვნილება ტრამვაის სამუშაო დროის შემცირებისა და ნიხრის მომატების შესახებ. დღეს მეეტლეების საერთო გაფიცვაა. ბირჟები ცარიელია.

მინსკი, 5 მაისი. პოლონელთა შორის ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა 1 მაისს გამოცემულმა უმაღლესმა ბრძანებამ. საერთო მხიარულებაა.

პეტერბურგი, 5 მაისი. დაინიშნენ: იუსტიციის სამინისტროს მეორე დეპარტამენტის დირექტორი ჩაპლინი—სამოქალაქო განყოფილების გამგედ, მინისტრის თანაშემწის უფლებებით. მერვე საარმიო კორპუსის უფროსი მილოვი—სამხედრო საბჭოს წევრად, ვიბორგის გუბერნატორი მიასოედოვი—სენატორად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

6 მაისი

ტოკიო, 5 მაისი. როგორც სჩანს, მართლდება ის აზრი, რომ რუსეთის ესკადრა სცდილობს მიაღწიოს ვლადივოსტოკს პირდაპირის გზით და ამიტომ აუცილებელია ტოგოსთან შეტაკება. ფორმოზის სრუტე ნაღმებით არის გავსებული.

ჰონკონგი, 5 მაისი. ჯონ კვანტუნის სანაპიროს კუნძულთან ფლოტილია დგას, რომელიც 150 დატვირთულ ჯონკიდან შესდგება; ეს ფლოტილია ბრძანებას ელის. ჰფიქრობენ ეს ჯონკები სანოვაგით არიან დატვირთული და ერთ-ერთ ესკადრას უცდიანო.

სორმოვო, 5 მაისი. გუშინ მოსკოვის შოსეზე კუნცევოს იქით დაიწვა როზენბლიუმის ხელოვნურ მატყლის ფაბრიკა. ზარალი 100 ათასი მანეთია. დამნაშავეებათ მუშებს ასახელებენ, რომელნიც ამას წინათ დაითხოვნათ ფაბრიკიდან. 400-ზე მეტი მუშა უსაქმოდ დარჩა. ნიჟნი-ნოვგოროდში მეეტლეები გაიფიცნენ. ისინი ითხოვენ, მოგვიმატეთ ნიხრი და ნუ მისცემთ პოლიციელებს ნებას უფასოთ ვატაროთ იგინიო.

შავლი, 5 მაისი. შავლის ყველა ფაბრიკებში გაფიცვაა.

ლოძი, 5 მაისი. პურის მცხობელთა გაფიცვის საქმე მორიგდა. დღეს თითქმის ყველა [illegible]

არდატოვი, 5 მაისი. სიმბირსკის მაზრაში ხმები დაჰყარეს, პარადეევის, სუსარევის და სხვა ტყეებში გლეხებმა ძალა იხმარეს მემამულე ბელიაკოვისა და ფროლოვის ქონებებზე, რადგანაც მათ საძოვარი ადგილები არ ჰქონიათ და დიდს საიჯარო ფასს ახდევინებდნენ თურმე მიწაზე. ადმინისტრაციამ გამოიკვლია ეს საქმე და ნახა, რომ მხოლოდ კანტი-კუნტად განუცხადებიათ პროტესტი გლეხებს იმიტომ, რომ მოიჯარეები ბევრ პროცენტს ართმევდნენ და სარგებლობდნენ გლეხ-კაცობის მიწის სიმცირით.

დონის როსტოვი, 5 მაისი. გუშინ, დილის 11 საათზე კავკასიის რკინის გზის ხელოსნებმა და მუშებმა დაანებეს მუშაობას თავი და გამოვიდნენ სახელოსნოებიდან. ნასადილევს ერთი ნაწილი შეუდგა მუშაობას. დღეს სულ ყველანი გაიფიცნენ, ერთი კაცი არ მოვიდა სამუშაოდ. მთავრობამ წინადადება მისცა მუშებს, შეიკრიბეთ და წარმოგვიდგინეთ მოთხოვნებიო.

6 მაისი

კიევი, 5 მაისი. ამას წინად სამინისტროსაგან გამოცემულმა განკარგულებამ მომავალ წლიდან სწავლის განახლების შესახებ პროფესორებს შორის თათბირი გამოიწვია, როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ პროფესორები დაითხოვეს ლექციის არ განახლებისათვის. გაიფიცნენ სამკერვალოში მომუშავე ქალები.

არმავირი, 5 მაისი. გაიფიცნენ ნოქრები.

ასხაბადი, 5 მაისი. გაიფიცნენ ნოქრები.

ეკატერინოდარი, 5 მაისი. გაიფიცნენ მეეტლეები და მოითხოვეს, შეამცირეთ პრივილეგიები ტრამვაისა, რომელმაც ჩვენი მუშაობა ჩამოაქვეითაო.

უფა, 5 მაისი. გუბერნატორ სოკოლოვსკის მოკვლა განიზრახეს საღამოს 11 საათზე. საქმე ასე იყო: გუბერნატორი წარმოდგენაზე იყო; ანტრაქტის დროს, ნაცნობებს ემუსაიფებოდა თეატრში შესასვლელთან. უცბათ გაისმა რამდენიმე სროლა; მძიმეთ დაჭრილმა გუბერნატორმა გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი და უღონოთ, დასისხლიანებული, დაეცა ძირს. სროლისაგან სამი მძიმე ჭრილობა მიეცა გუბერნატორს კისერში. ორი ტყვია ჯერაც არ გამოუღიათ. მდგომარეობა ისევ საშიშია.

ჟიტომირი, 5 მაისი. ფეიქართა მეტმა წილმა თავი გაანება მუშაობას და მოითხოვა ხელ-ფასის გადიდება.

მინსკი, 5 მაისი. ჯერ არ გათავებულა მოსკოვ-ბრესტის გზაზე გაფიცვა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საით წავა ადმ. როჟესტვენსკი. თუ ახალ ცნობებს დავუჯერებთ, [ადმ. როჟესტვენსკისა და ადმ. ნებოგატოვის ესკადრები შეერთებულან და 1 მაისს ნელა-ნელა ჩრდილოეთისაკენ წასულან. ზოგი ჰფიქრობს, რუსის ფლოტი პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ წავა ფორმოზასა და კორეის სრუტეთიო; ზოგი ირწმუნება, რუსის ესკადრები წყნარ ოკეანეში გავლენ, იაპონიას გარშემო მოუვლიან და ლაპეროზასა, ან სუნგარის სრუტეთი ვლადივოსტოკისაკენ გაიქრებიან, თან ეცდებიან, იაპონიის ნაპირებს, რაც შეიძლება, მეტი ზარალი მოუტანონო. „ინდეპანდანს ბელჟ"-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, რუსის ადმირალი უსათუოდ მოკლე გზას აირჩევს და კორეის სრუტეთი წავა ვლადივოსტოკისაკენ, თორემ წყნარ ოკეანეში გაცილებით მეტის მანძილის გავლა მოუხდება და ქვა-ნახშირის შოვნა ძლიერ გაუჭირდებაო. რუსის ადმირალი ვლადივოსტოკამდე ბაზას ვერსად იშოვის და ამიტომ უსათუოდ მოკლეს გზით უნდა წავიდეს და არა გძელის გზითაო. („რ.").

საფრანგეთის პორტებში. „ლაფანის სააგენტო"-ს კორესპონდენტი იუწყება გონკონგიდან: საფრანგეთის ყველა პორტი დავიარე ანამში და დავრწმუნდი, საფრანგეთის მოხელეებს რომ დახმარება არ გაეწიათ, რუსის ესკადრა თავიანთ პორტებში არ შეეფარებინათ, თავიანთ ტელეგრაფით სარგებლობის ნება არ მიეცათ და თავიანთ სახელმწიფო გემებით ქვა-ნახშირი, საჭმელი, თოფის წამალი და სამხედრო სურსათი არ მიეზიდნათ—ადმ. როჟესტვენსკი ნამდვილად დიდ განსაცდელში ჩავარდებოდა. საფრანგეთის პორტებში რომ მივიდა, ესკადრას არც სასმელი წყალი ჰქონდა, არც ქვა-ნახშირი, არც საჭმელი, მაგრამ რუსებმა ყველაფერი იშოვეს კამრანის ბუხტაში. რუსეთმა და საფრანგეთმა შარშანვე დასდეს საიდუმლო პირობა და ამ პირობის ძალით რუსის აგენტებმა კამრანის ბუხტაში დიდ-ძალი ქვა-ნახშირი და საჭმელი დაამზადეს ბალტიის ესკადრის მისვლამდე. ეს საქმე რუსის ფლოტის ცნობილ იჯარადარს გინცბურგს ჰქონდა ჩაბარებული. საიგონში იარაღ-აყრილ კრეისერ „დიანა"-ს უფროსი თავადი ლიევენი კანტროლს უწევდა იჯარადარს. ქვა-ნახშირი და სურსათი საიგონსა, კამრანსა, ხანკოესა და სხვა პორტებში საფრანგეთისა და გერმანიის გემებს მიჰქონდათ; დიდი ფული აიღეს ამ გემებმა. გემებზე ყველაფერს ფრანგ-ადმირალის ჟონკიერის თვალწინ უდებდნენ და მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ, როცა ამ ამბავმა ევროპამდე მიაღწია, ჟონკიერმა „ურჩია" როჟესტვენსკის, კამრანი მიატოვეო. ასე ურჩია და თითონ საჩქაროდ ნატრანში წავიდა. რუსები კი დარჩნენ და არხეინად განაგრძობდნენ ქვა-ნახშირისა და სურსათის დებას, სამხედრო მასალასაც კი უდებდნენ. საიგონიდან საფრანგეთის კრეისერი „დეკარტი" გამოეგზავნათ, რუსის ესკადრას ნეიტრალიტეტის წესები არ დაარღვევინოთ; „დეკარტი" მოვიდა და არხეინად თვალს ადევნებდა, საფრანგეთის ტრანსპორტმა „გუანგნამ"-მა რომ აურებელი ყუმბარა მოიტანა და რუსის გემებს ჩააბარა. როცა იაპონიამ ბეჯითი პროტესტი გამოაცხადა, რუსის ესკადრა იქვე, მეორე პორტში გადავიდა და იქაც იგივე საქმე განაგრძო. დასასრულ დავუმატებ, იაპონიის კონსულებს საიგონსა და გონკონგში დასამტკიცებელი საბუთები აქვთ ხელთა, რომ ფრანგები საიგონსა და გონკონგს შუა დადიოდნენ და იაპონიის გემებს ჰხვერავდნენო. („ო. ნ.").

ვენურ გაზეთებს ატყობინებენ პარიზიდან: საინტერესოა, რომ პეტერბურგში ძლიერ უკვირთ ტოკიოსა და ლონდონში ატეხილი ლაპარაკი ნეიტრალიტეტის დარღვევაზე. პეტერბურგში ამბობენ, პირიქით, ადმ. როჟესტვენსკი ძლიერ უჩივის საფრანგეთის მოხელეების სისასტიკესაო, ერთის პორტიდან მეორეში მაგდებენ და ბეჯითად მთხოვენ, ანამის ნაპირებს მოჰშორდიო. „მატენ"-ი შენიშნავს: თუმცა ჩვენი (საფრანგეთის) მოხელეები სასტიკად ექცევიან საწყალ ადმირალს, ადმ. ნებოგატოვის რაზმი მაინც შეუერთდა იმის ესკადრას. იმედი გვაქვს, რუსის ადმირალს ეხლა მაინც აღარაფერი დაუშლის, საფრანგეთის არა-სტუმართ მოყვარე სამფლობელო მიატოვოს და იაპონელებთან წავიდეს,—ისინი უფრო გულ-მხურვალედ მიეგებებიან რუსის ესკადრასაო". („ო. ნ.").

იაპონიის ფლოტისა და ჯარის მოქმედება. გერმანულ გაზ. „პოსტ"-ში წერილია დაბეჭდილი ადმ. ტოგოს მოქმედებაზე. წერილის ავტორი ამბობს, ადმ. ტოგოს

მოქმედება ბევრს არ ესმისო. დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ადმ. ტოგოს თავისი ეხლანდელი მარჯვე სტრატეგიული პოზიციები მიეტოვებინა და სამხრეთისაკენ წასულიყო, მით უმეტეს, რომ როჟესტვენსკი ვერ ასცდება ადმ. ტოგოს ფლოტს. ნაღმიან გემების დაცემაც შეუძლებელი იყო აქამდე, რადგან რუსის ესკადრა ძლიერ შორს იდგა და ნაღმიან გემებს-კი ბაზიდან შორს მოქმედება უჭირდებათ. ტოკიოში სულაც არ ეფიქრებათ ხმელეთის ჯარისა; იაპონელების აზრით, რუსის ესკადრა გზას ვერ მოუჭრის და განსაცდელში ვერ ჩააგდებს იაპონიის არმიას. იაპონიას მეტად გძელი ნაპირი აქვს და ის სრუტეები, სადაც გემებს გავლა შეუძლიათ, მეტად ვიწროებია, მაშასადამე, იქ შეუნიშნავად ვერც ერთი გემი ვერ გავა. საზოგადოთ იაპონიაში ჰფიქრობენ, რომ უცხოელები ნამეტან დიდ მნიშვნელობას აძლევენ მომავალ საზღვაო ბრძოლას და იმის შედეგსაო. იაპონიას სწორედ ეხლა გამოჰყავს იმდენი ჯარი, რამდენიც ჯერ არას დროს არ გამოუყვანია. იაპონელები წელსაც ომის პირველ ხანას გაიმეორებენ, მხოლოდ ეხლა უფრო მტკიცე იმედი ექნებათ გამარჯვებისა. როგორც ომის პირველ ხანაში, იაპონელები ერთსა და იმავე დროს მოქმედებდნენ პორტ-არტურისა და გენ. კუროპატკინის არმიის წინააღმდეგ, ისე ეხლა ვლადივასტოკისა და გენ. ლინევიჩის არმიის წინააღმდეგ იმოქმედებენ. იაპონია მალე მე-7 არმიასაც შეადგენს. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ იაპონიაში შერიგებაზე არავინ არა ჰფიქრობს. მართალია ხშირად ავრცელებენ ხმას შერიგებაზე, მეტადრე ამერიკაში, მაგრამ ეს ხმები ნდობის ღირსი არაა. იაპონიის ფინანსიური მდგომარეობა ჩინებულია; იაპონიამ ისეთის საოცარის სისწრაფით იშოვა საზღვარ-გარედ სესხად ფული, რომ ყველამ აშკარად დაინახა, თუ რა დიდის ნდობით უცქერიან საერთაშორისო ფინანსისტთა წრეები იაპონიის ძლიერებასა და კრედიტს. იაპონია ამ მხრივ ეხლა უფრო კარგ მდგომარეობაშია, ვიდრე ომის დაწყების დროს იყო. შინაგანი სესხები ხომ იაპონიას უფრო უზრუნველ-ყოფილი აქვს. ხალხის პატრიოტული გრძნობა თან-და-თან ძლიერდება. („ნ. ვ.“).

ჩრდილოეთ-კორეიაში. „მორნ. პოსტ“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: ამ მოკლე ხანში ხმელეთზეც განახლდება სამხედრო მოქმედება, სახელდობ ჩრდილოეთ კორეიაში. იაპონელები მალე იერიშს მიიტანენ რუსის არმიაზე მდ. ტუმენის პირად. გენ. ხასეგავას არმია გაჩქარებული მიდის უნდიენგისაკენ; უნდიენგი ვლადივასტოკიდან 170 ვერსტე მდებარეობს, სამხრეთ-დასავლეთით, იქ, სადაც მდ. ტუმენი სამხრეთიდან დასავლეთისაკენ—ზღვისაკენ უხვევს. იაპონიის ჯარის მთავარ სადგომში გამწვავებულ ბრძოლას ელიან, რადგან გენ. ლინევიჩი ბეჯითად დაიცავს ამ დიდ მნიშვნელოვან პოზიციას. გენ. ხასეგავას 7 დივიზია ჰყავს, ასი ათას კაცზე მეტი და დიდძალი ზარბაზანი აქვს; პორტ-არტურის საალყე ზარბაზნების მომეტებული ნაწილიც გენ. ხასეგავას მიუზიდეს. (ო. ნ.“).

გენ. კუროპატკინის დაბრუნება. „პტი ჟურნალ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: ოფიციალურად ჰმოწმობენ, რომ გენერალ კუროპატკინი სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან დაბრუნდებაო. ამავე დროს ამბობენ, ვითომ ადმ. ალექსეევს ახალ თანამდებობას აძლევენ შორეულ აღმოსავლეთშიო. („ს.“).

„მატენ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: ამას წინად ხმა გავრცელდა, გენ. კუროპატკინი ავად გახდა და თავის არმიის უფროსობა აღარ შეუძლიანო. მაშინვე ვიფიქრე, ეს მხოლოდ მიზეზი იქნება-მეთქი. ამ ჟამად შევიტყე, რომ რუსის მთავარ-სარდლად ნამყოფი თავის თანამდებობიდან გადამდგარა და შინ ბრუნდება. ეხლა მართლა გენ. დრაგომიროვის პარტიამ გაიმარჯვა ყველა საქმეში, თუმცა თითონ დრაგომიროვი ერთ ადგილს ზის უძრავად. ასეა თუ ისე, ამ მოხუცმა გენერალმა ცოტაოდენი იმედი გაუღვიძა იმათაც-კი, ვისაც ომი საბოლოოდ წაგებულად მიაჩნდათ; გენ. დრაგომიროვის მედგრობამ სძლია საყოველთაო გულგრილობას; ეხლა ბეჯითად ჰფიქრობენ რუსის არმიის წინ გალაშქრებაზე. ადმ. როჟესტვენსკის მოქმედებამაც ზნეობრივი გავლენა იქონია რუსის სამხედრო წრეებზე. გენ. ლინევიჩიც წინ გალაშქრებას აპირებს. ერთის სიტყვით, ამას იქით, ზღვაზე თუ ხმელეთზე, გენ. კუროპატკინის ფრთხილ ტაქტიკის ნაცვლად, რუსები უფრო გაბედულ ტაქტიკას დაადგებიან და სულ ახალი, სხვანაირი ომი დაიწყება, მანჯურიის ველებსა და წყნარ ოკეანეში რუსები ამას იქით ახალ სამხედრო უნარს გამოიჩენენ და იაპონელების დამარცხებას ეცდებიან. ვნახოთ, რამდენად გაუმართლდებათ იმედი. („ს.“).

ქურდობა საიტენდანტოში. „პტი ჟურნალ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: „კანტროლმა მრავალი ქურდობა აღმოაჩინა სამხედრო საინტენდანტოში. ამბობენ, დიდის ფასის საქონელი გაუფლანგავთ და ამ საქმეზე ბევრს დაატუსაღებენო. („ს.“).

ჯარის გაგზავნა მანჯურიაში. „ეკო დე პარი“ იუწყება: რუსეთის სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, შორეულ-აღმოსავლეთში ყოველ დღე სამხედრო მატარებელი წავიდესო. სექტემბრამდე ივლიან სამხედრო მატარებლები. ყველაზე წინ მე-9 საარმიო კორპუსი წავა კიევიდან. პეტერბურგის სამხედრო ოლქიდან, ყველა გვარდიისა ან საარმიო პოლკიდან თითო ან ორ-ორ როტას გაჰგზავნიან. ეს ჯარი, რიცხვით 45 ათასი კაცი, არმიის ზარალის შესავსებად იგზავნება. („ო. ნ.“).

ეროვნულ თვითმმართველობის მოწინააღმდეგეთ

II *)

უნდა აღვიაროთ, რომ ხსენებულ საკითხის გადაწყვეტაში ჩვენმა დასელებმა გამოიჩინეს სრული პოლიტიკური უსუსურობა და მოუმწიფებლობა. პირი გავუშინჯოთ მათს ხმალს, ამოწვდილს ეროვნულ თვით-მმართველობის წინააღმდეგ. **)

პირველი საბუთი (?), ეროვნულ ავტონომიის წინააღმდეგი, არის შემდეგი: პატარა ერის ბურჟუაზია სცდილობს დიდი ერის ბურჟუაზიის მაგიერად თვითონ გამეფდეს თავის სამშობლოშიო; პატარა ერის ბურჟუაზია იმიტომ სცდილობს ეროვნული ავტონომია მოიპოვოს, რომ ბაჟებისა და პრივილეგიების წყალობით თვითონ გამდიდრდეს, გაძლიერდეს, მონოპოლია ჩაიგდოს ხელშიო. ეს საბუთი შეურყეველ საბუთად მიაჩნია ხსენებულ წერილის ავტორს. მაგრამ, ალბად, განგებ იბრმავებს თვალს, რომ ვერ ამჩნევს თავის აზრის უსაბუთობას. ნუ თუ დღეს, როდესაც ავტონომია არა გვაქვს, რუსეთის ბურჟუაზიას პრივილეგიები არა აქვს ჩვენში? ნუ თუ უცხოეთელ სავაჭროს, ჩვენკენ მომავალს, დღესაც ბაჟების კედელი არ ულობავს გზას? როგორ გგონიათ, ნუ თუ შესაძლებელი იქმნება კიდევ ოდესმე ბაჟებისა და პრივილეგიების გადიდება? და თუ რუსეთში ცენტრალისტური პარლამენტი იქნა, რომლის წევრებადაც რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლები იქმნებიან, ნუ თუ კიდევ უფრო არ შეავიწროვებენ ჩვენს მრეწველობას? ამას ხომ თქვენვე აღიარებთ! და თუ კი თქვენვე არ ჰფარავთ, რომ ცენტრალისტური წარმომადგენლობითი კრება პრივილეგიებით და ბაჟებით შეგვავიწროვებსო, რად უნდა ვარჩიოთ, რა უპირატესობა ექმნება ამგვარ პარლამენტს ეროვნულ პარლამენტთან შედარებით?! მაშასადამე, ეს ერთი თქვენი საბუთი ირღვევა და ჰქრება, ვითარცა საპნის ბუშტი.

თქვენ თითონ ჰძახებთ: „საერთო რუსეთის პარლამენტში რუსეთის ბურჟუაზია გაბატონდება, ჩვენ კუთხეულ საქართველოშიც მისი კლანჭები ძლიერი იქნება. ისინი დააყენებენ თავის ჩინოვნიკებს, მშვიდობიანობის დაცვას ჩააბარებენ თავის პოლიციელებს“. მაგრამ რა არის აქ სანატრელი?! რით აჯობებენ ეს „ჩინოვნიკები“ ეროვნულ ავტონომიის „ჩინოვნიკებს“?

თქვენ უარჰყოფთ ეროვნულ სამღვდელოებას. კარგი და პატიოსანი. მაგრამ რით სჯობს არა-ეროვნული, უცხო სამღვდელოება ეროვნულს?!

მაშ რით აჯობებს საერთო ცენტრალისტური წარმომადგენლობითი კრება ეროვნულ კრებას? რით უნდა მიგვიზიდოს პირველმა, რატომ უნდა უარვყოთ მეორე? როგორც ვხედავთ, ავტორმა ვერც ერთი საბუთი ვერ წარმოგვიდგინა თავის აზრის დასამტკიცებლად.

მაგრამ ერთი მისი საბუთი (?) დაგვრჩა კიდევ განურჩეველი. საჭიროა, ავტორის სიტყვით, მუშათა შეერთება, შეკავშირება, საერთო ძალით გალაშქრება კაპიტალიზმის წინააღმდეგო. „მათ, ქარხნის ერთ ჭერ ქვეშ მომუშავეთ, ერთად მებრძოლთ, კარგად ესმით, რომ განხეთქილება, განკერძოვება ასუსტებს მათ ძალას და ამით აძლიერებს კაპიტალის ბატონობას მათ შრომაზე... ეროვნული ავტონომია მათ განგებ, ხელოვნურად აშორებს ერთი მეორისაგან, ხელოვნურად აცალკავებს და ამით მათ კლასობრივ შეგნებას აბნელებს, ასუსტებს და ბრძოლას უძნელებს“.

სამწუხაროდ, ავტორი ძლიერ ბუნდოვანად ლაპარაკობს, სრულიად არ არკვევს, რას ნიშნავს შეერთება, შეერთებულ ძალით ბრძოლა.

ვინ არის შეერთების წინააღმდეგი?! ვინ ეტრფის განცალკევებას?! მაგრამ შეერთებაც არის და შეერთებაც. შეერთება ცენტრალისტურ საერო კრების ქვეშ, შეერთება ცენტრალისტურ ბიუროკრატიის ქვეშ! ცხადია, ამგვარ შეერთებას არ-შეერთება სჯობია. რა შეერთება იქნება პროლეტარიატისა, რომ კავკასიამ ერთი დასელი გაგზავნოს ცენტრალისტურ კრებაში?! და რომ ასე იქნება, ამას უკიდურესი ფანატიკოსიც ვერ უარჰყოფს. ნუ თუ შეერთება იმასა ნიშნავს, რომ ყველას ერთი ბატონი გვყავდეს?! ეს იქმნება შეერთება მხოლოდ მონობის ნიადაგზე. დიდ საერთო ცენტრალისტური კრება ვერა ჰქმნის პროლეტარიატის კავშირს.

პირიქით საერთო ცენტრალისტური წარმომადგენლობითი კრება ასუსტებს ამ კავშირს, ასუსტებს პროლეტარიატს. საერთო ცენტრალისტური მართვა-გამგეობა საშინელი ძალაა, რომელიც ადვილად ერევა, სძლევს ყოველ პროგრესიულ ძალას, მაშასადამე, პროლეტარიატის მოძრაობასაც. ცენტრალისტური მთავრობა უძლიერესი ორგანიზაციაა, რომლის ხელი ანადგურებს ყველაფერს, რაც წინ აღუდგება ამ ძალას. მუშების შეერთება რუსეთში, ვინ იცის როდის შექმნის ისეთს ძალას, რომ ცენტრალისტური მთავრობა დაამხოს.

ცენტრალისტური წარმომადგენლობითი კრება-ბიუროკრატიის ორგანიზაცია იმიტომ უფრო ძლიერი იქნება მუშათა ორგანიზაციაზე, რომ სიმდიდრე და უფლება ამ კრებისა და ბიუროკრატიის ხელში რუსეთის იმპერიის სიმდიდრე, ერთ ხელში მოთავსებული, ისეთ ძალას მიანიჭებს ცენტრალისტურ მთავრობას, რომ ბრძოლა ღარიბ, უუფლებო პროლეტარიატისათვის უძნელესი საქმე იქნება.

ამგვარად, ცენტრალიზმი მუშათა ორგანიზაციას კი არა, ბურჟუაზიულ ბიუროკრატიას გააძლიერებს და მძიმე ლოდივით დააწვება თავს ყოველსავე პროგრესიულს და სხვა.

პირიქით, დეცენტრალიზაციას პოლიტიკური უფლება ბიუროკრატიის ხელიდან ხალხის ხელში გადააქვს. მთავრობა მით უფრო დემოკრატიულია, რაც უფრო პატარაა პოლიტიკური ასპარეზი, რადგან პატარა სახელმწიფოში ყოველი მოქალაქე მხურვალე მონაწილეობას იღებს მართვა-გამგეობის საქმეში. ვინც ფიქრობს, რომ ავტონომისტებს სურსთ ცენტრალისტური „ჩინოვნიკების“ ბატონობაო, მას არ ესმის ავტონომიის შინაარსი. ავტონომისტი რაღა ავტონომისტი იქნება, რომ ცენტრალისტი იყოს! ნამდვილი, არა-ორჭოფა ავტონომისტი მომხრე უნდა იყოს როგორც ეროვნულ ავტონომიის, ისე კომმუნათა ავტონომიისა. იგი აღიარებს მხოლოდ კომმუნათა მიერ არჩეულ „ჩინოვნიკებს“; ცენტრალისტურ ჩინოვნიკებს მხოლოდ ცენტრალიზმის მომხრეები აღიარებენ, სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატებიც.

ავტონომისტების ერთს საბუთს განგებ აფუჩეჩებენ, ამის შესახებ განგებ იყრუებენ ყურს ავტონომიის მტრები. პოლონეთი ბევრად უფრო მომზადებულია, როგორც პროლეტარიატის შედარებითი სიდიდით და განვითარებით, ისე ყველაფრით, ვიდრე რუსეთის დანარჩენი ნაწილები. ამიტომ, პოლონეთის პროლეტარიატი მაშინ უფრო ადრე განახორციელებს თავის იდეალს, თუ საკუთარი სეიმი ექნა, ვიდრე მაშინ, თუ რუსეთის მოუმზადებელ ერთან იქნა შეკავშირებული. იგივე ითქმის ყოველ ერზე, რომელიც შესაძლებელია, უფრო მალე განვითარდეს, ვიდრე დანარჩენი ნაწილები რუსეთის იმპერიისა. ამგვარად შეკავშირება ერთ პოლიტიკურ ცენტრს ქვეშ არ არის სასიკეთო შეკავშირება, არამედ მხოლოდ ნამდვილი ბორკილია უფრო განვითარებულ ნაწილებისათვის.

ამას გარდა ტყუილად გვარწმუნებთ, ვითომ ბურჟუაზია მარტო ბაჟებსა და პრივილეგიებს შემოიტანს ჩვენშიო. თუ არსად არ ყოფილა ამგვარი ბურჟუაზია, არც ჩვენში იქნება. ბურჟუაზია სცდილობს წინ წასწიოს თავის ერის განათლებაც, რადგან ახლანდელ დროში ბაჟები და პრივილეგიები-კი არ იმარჯვებენ მრეწველობაში, არამედ განვითარებული მეცნიერება და ტეხნიკა და სახალხო განათლება. რუსეთის

---

*) „ცნ. ფ.“. № 2818.

**) იხ. „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“; „მოგზაური“, 24 აპრილი 1905 წ.

ფელეტონი

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა საქმე

ეს მეორე წელიწადია, რაც პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა შორის მოხდა განხეთქილება, რომელმაც ორ ბანაკად გაჰყო აქაური მოსწავლე ახალგაზრდობა. დღითი-დღე ეს განხეთქილება მწვავდებოდა, რთულდებოდა და თუ პირველ ხანებში კიდევ შესაძლო იყო შერიგებაზე ფიქრი, ბოლოს და ბოლოს ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ყოველივე ცდა, არსებულ უთანხმოების მოსასპობად შემართული, ამაო იქნებოდა. ჩვენ არა ერთხელ ვცადეთ ბოლო მოგვეღო იმ აუტანელ მდგომარეობისათვის, რომელიც ხსენებულ განხეთქილებით იყო გამოწვეული, ვცადეთ ჩვენისავე საკუთარის ძალ-ღონით, ამხანაგურის მორიგებით როგორმე მოგვეგვარებინა საქმე, მაგრამ როდესაც დავრწმუნდით, რომ ასეთი მორიგება, ასეთი ზავი აღარც სასურველი იყო ჩვენთვის და არც შესაძლო, რადგან ჩვენს ურთიერთობაში ისეთმა ფაქტებმა იჩინა თავი, რომელთა გამომზეურება საზოგადოების წინაშე აუცილებელი შეიქნა, მაშინ კი ჩვენ მივმართეთ სამედიატორო სამართალს. არც საზოგადოებისა და არც პრესისათვის ჩვენის განხეთქილების ამბავი „არ ახალია, ძველია“.

გაზეთებში არა ერთხელ გამოითქვა სურვილი, რომ მალე გამოაშკარავებულიყო სავსებით პეტერბურგელ ქართველების „საქმე“ და ნათელი მოჰფენოდა ჩვენის ახალგაზრდობის ზნეობრივ ფიზიონომიას, რამდენაც უკანასკნელს ახასიათებს ამა თუ იმ ბანაკში ყოფნა. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ქართველი სტუდენტობა, იმის მაგიერ, რომ საზოგადოებრივ მოძრაობაში მიიღოს მონაწილეობა და მთელ მოწინავე რუსეთთან იცხოვროს ერთად, შინაურ კინკლაობას მოჰყოლია და ინტრიგებში ჰკარგავს დროსაო, მაგრამ დღემდის ჩვენ არ შეგვეძლო დაგვენახვებინა საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ შორის არსებული უთანხმოება უბრალო კინკლაობა არ იყო. მართალია, ჩვენ ორჯელ ამოვიღეთ ხმა სიმართლის აღსადგენად: ერთხელ, როდესაც ვამცნეთ საზოგადოებას, რომ სამარცხვინო „ქართულ საღამოს“ მართავს არა ქართველი სტუდენტობა in corpore, არამედ ამ სტუდენტობის მხოლოდ მცირე ჯგუფი (იხ. [illegible] და მეორეთ, როდესაც სტ. ბებურიშვილმა და ელიავამ აღნიშნეს „ცნ. ფურც.“-ში, რომ ხსენებული ინციდენტი (საღამოს გამართვა) და აგრეთვე მთელი ეს ჩვენი განხეთქილება არ არის უბრალო რამ, არამედ მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. დღეს, როდესაც ჩვენ ხელთ გვაქვს მედიატორეთა განაჩენი, დღეს, როდესაც ჩვენს თანამემამულეთა „მოღვაწეობაზე“ უკვე წარმოითქვა სამართლიანი და პირუთვნელი მსჯავრი, დღეს—ვამბობთ ჩვენ—შეგვიძლია ყველას ვამცნოთ, თუ რა ბრალს ვდებდით ამ ვაჟბატონებს, რატომ ვუცხადებდით გულის-წყრომას და ზიზღს.

1903 წელს შემოდგომაზე მოხდა განხეთქილება პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრეში. რა ნიადაგზე ასტყდა ეს განხეთქილება, რამ გამოიწვია იგი?—ამის მოთხრობა შორს წაგვიყვანს და არც იმდენად საინტერესოა. საკმარისია ვთქვათ, როგორც ზევით, რომ უთანხმოება თან-და-თან უფრო გამწვავდა და გართულდა, შერიგება სასურველი აღარ იყო ჩვენთვის და შეუძლებელიც შეიქნა, და იძულებულნი ვიყვით მედიატორეთათვის მიგვემართნა. ჩვენი ბრალი არ არის, თუ საქმის გარჩევა ასე დაგვიანდა. საჭიროა მხოლოდ მოვიხსენიოთ აქ ის ფაქტები, რომელიც სავსებით ახასიათებს ჩვენ მოწინააღმდეგეთა ზნეობრივ ფიზიონომიას.

ერთი ბრწყინვალე ბანოვანი,—nomen est odiosum,—რომელსაც გასულს აკადემიურ წელს წილად ხვდა, საუბედუროდ, ქართულ საღამოს გამართვა, მეტად უდიერად და უტიფრად ეპყრობოდა ჩვენს ამხანაგებს და ბოლოს იქამდის მიაღწია, რომ საშინელის ბრალდებით შეურაცხჰყო ორი პატიოსანი, ზნეობრივად უმწიკვლო ამხანაგი: ერთს, სრულიად უსაფუძვლოდ, უწოდა ჯაშუში, მეორეს კი „პადლეცი“. ამის შემდეგ ჩვენ, რასაკვირველია, აღარ შეგვეძლო გვქონოდა რამე საერთო ბანოვანთან, რაკი მან ასეთ შეურაცხჰყო ჩვენი ამხანაგები; ჩვენ გამოვუცხადეთ მას პროტესტი ასეთ საქციელის გამო და მოვსტოვეთ მისი სახლი. ამასთანავე მივმართეთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ წინადადებით, რომ იმათაც მოეწყვიტათ ბანოვანთან ყოველივე კავშირი, მაგრამ თურმე, ნუ იტყვით, ორის ამხანაგის შეურაცხყოფა მათ არ შეეხებოდათ; თურმე ისინი დარწმუნებულნი არიან შეურაცხყოფილ ამხანაგების ზნეობრივ სიფაქიზეში, მაგრამ საჭიროდ არა სთვლიან შესწყვიტონ კნეი-

საბუთი ჰქონდა, როცა საშინელს ბრალსა სდებდა ჩვენს ამხანაგებს. ჩვენ წამოვედით, ისინი-კი დარჩნენ და განაგრძეს ბანოვანთან კეთილი განწყობილება. ეს ერთი...

ერთი თვის შემდეგ ბანოვანმა უჩივლა უნივერსიტეტის რექტორთან ჩვენს ამხანაგს, თითქოს უკანასკნელს გაეფლანგოს საზოგადო ფული. რექტორმა გამოიძია საქმე და დარწმუნდა, რომ ფული ხელუხლებელია, და იმავ დღესვე ჩაიბარა დანიშნულ სტუდენტისაგან, რაც დაუყონებლივ აცნობა ბანოვანს. მაგრამ ამ პასუხმა კნეინა არ დააკმაყოფილა: მან მეორედ და მესამედ მიიტანა საჩივარი (ДОНОСЪ) იმავ ამხანაგზე და კიდევ ორ სტუდენტზე, ხოლო ახლა ამათ ბრალს სდებდა არა მარტო ფულის გაფლანგვაში, არამედ კიდევ იმაშიაც, რომ ხსენებულნი პირნი პოლიტიკურად არა კეთილსაიმედონი არიან და საზოგადო ფულიც სარევოლუციო საქმეებს მოახმარეს. ამ „დანოსზე“ რექტორმა განუმეორა კნეინას, რომ ფული ხელ-უხლებლად ინახება უნივერსიტეტის კასაში, ხოლო რაც შეეხება სტუდენტების პოლიტიკურ იმართულებას,—ეს მისი, როგორც რექტორის, საქმე-კი არ არის, არამედ პოლიციის დეპარტამენტისა. ბანოვანმა ვერ გაიგო რექტორის ირონია და იმის რჩევით მართლაც ისარგებლა, ე. ი. პოლიციის დეპარტამენტში „დანოსი“ მიიტანა ერთს ჩვენს ამხანაგზე, რომელსაც იმავე ბრალს სდებდა. კნეინას ეს სასახელო მოღვაწეობა საიდუმლო არ იყო ჩვენის „მამულიშვილებისათვის“, მათ კარგად იცოდნენ ყველა ეს *), შეიძლება ზოგიერთი „დანოსები“ კიდევაც წაუკითხავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი გულ-უშიშრად განაგრძობდნენ მაბეზღარ კნეინასთან უწინდელად კეთილ განწყობილებას და წელსაც კი, ალბად ნიშნად კნეინასადმი ღრმა პატივისცემისა, „ქართულ“ საღამოზე დაპატიჟეს და საპატიო ბილეთიც მიართვეს. ეს მეორე...

იმ დროს, როდესაც მთელი რუსეთი შეიძრა, ამოძრავდა, როდესაც მოწინავე საზოგადოება, პრესა, საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფები ულმობელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ არსებულ წეს-წყობილებას, საჯაროდ აღიარებდნენ იმის მოხლოვებულ კოტრობას, ეძებდნენ ომის მიზეზებს და უნდობლობას უცხადებდნენ მთავრობას; იმ დროს, როდესაც მთელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ ხელი აიღო ჩვეულებრივ საღამოების გამართვაზე, რადგანაც ადმინისტრაცია შეუძლებელ პირობებს უყენებდა საღამოს გამართვის მსურველთ,—აი, ამ დროს ქართველ სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შესაძლებლად დაინახა საღამოს გამართვა ისეთი პირობებით (შემოსავლის 15 პროც. გადასდო ომში დაჭრილ-მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ), რომლებზედაც არც ერთი წრე, არც რუსებისა და არც სხვა რომელისამე ტომისა, არ დასთანხმდა. ამ ვაჟბატონებმა დაივიწყეს ელემენტარული მოქალაქობრივი გრძნობა და ხელი გაუწოდეს იმას, ვისაც მთელი საზოგადოება ზიზღს და უნდობლობას უცხადებდა, და ამით სამუდამოდ შეირცხვინეს თავი, როგორც მოქალაქეებმა, სტუდენტებმა და ქართველებმა.

მაგრამ ამას არ დაკმაყოფილდნენ. მათ ისარგებლეს ქართველ სტუდენტთა წრის ფირმით, დაარქვეს თავის საღამოს „ქართული საღამო“ და ამით მთელი აქაური საზოგადოება და სტუდენტობა შეცდომაში შეიყვანეს. აფიქრებინეს, რომ ამ სამარცხვინო საღამოს მართავს არა ჯგუფი, არამედ ქართველი სტუდენტობა საერთოდ. ამის გამო არა ერთი და ორი წყევლა მოხვდა ქართველებს, არა ერთხელ და ორჯელ მოვისმინეთ სხვა-და-სხვა წრეებში საყვედური და გულის წყრომა, ამიტომ იძულებული გავხდით მოგვეთავსებინა გაზეთში ცნობილი წერილი, რომ გაგვეფანტა ის ბურუსი, რომელშიაც კეთილ ინებეს და გაახვიეს ჩვენმა თანამემამულეებმა თავისი სახელოვანი საქციელი. ესეც მესამე..

ცხრა იანვრიდან ახალი ხანა დაიწყო რუსეთის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ არ გამშრალიყო ქუჩებში ამ ღირს-სახსოვარ დღეს თავდადებულ მებრძოლთა დანთხეული სისხლი; ჯერ კიდევ გაისმოდა გლოვა, კვნესა და ტირილი ქვრივ-ობოლთა და დაჭრილ-დაკოდილთა; ჯერ კიდევ საზოგადოებას სავსებით ვერ აეწონ-დაეწონა დიდ ისტორიულ მოვლენის მნიშვნელობა; ჯერ კიდევ ვერ ჩამდგარიყო ჩვეულებრივ კალაპოტში ყოველ დღიური ცხოვრება; მისი ნორმალური მიმდინარეობა შეწყდა, შეიცვალა; ყველა ერთის აზრით იყო გამსჭვალული, ყველა ერთს ფიქრს

ერთს—მოქალაქის მოვალეობას,—აი ამ დროს ქართველ სტუდენტთა იმავე ჯგუფმა გამართა... ქართული ოპერა, დიახ, ქართულ ოპერა, რათა გაეცნო რუსის საზოგადოებისათვის ქართული (?) ხელოვნება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავუშალეთ, ვურჩიეთ სხვა დროისათვის გადედვათ, ავუხსენით ამ საქციელის უხიაკობა, გაწეულ ხარჯების დაფარვა აღვუთქვით... არ დაიშალეს, არა და არა! ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ ჩვენს მიზანს უნდა ვემსახუროთ! უკეთესი მამულიშვილობა კიდევ გინდათ? ქართულ ხელოვნებას ემსახურებიან, რუბინშტეინის გამოქართულებულ „დემონს“ სამშობლო ხელოვნების ნიმუშად ასაღებენ, მღერიან, შრომობენ, ოპერის შემდეგ ძაა-ბიჭურად დროს ატარებენ, ცეკვავენ, თამაშობენ! აი, ასეთ ვაჟბატონებთან გვქონდა საქმე! ბევრი ჩირქი და ლაქა მოეცხო ქართველ სტუდენტების სახელს იმათის მეოხებით პეტერბურგში და საჭირო იყო ამის გამომჟღავნება, რომ ყველას დაენახა ამ რაინდების „სასიქადულო მოღვაწეობა“. ხსენებული ოთხი ფაქტი კი, გვგონია, სავსებით ახასიათებს მათ ფიზიონომიას და ამიტომ ჩვენს ბრალდებასაც ეს ოთხი ფაქტი დაედვა საფუძვლად. სამედიატორო სამართალს ჩვენ წარვუდგინეთ შემდეგი ბრალდებითი პუნქტები:

1) ჩვენ წარმომადგენელნი დედა-წრისა, ბრალსა ვსდებთ ახალ წრის წევრებს იმაში, რომ განზრახ არ სპობდნენ დამოკიდებულებას იმ პირთან, რომელიც სიტყვიერად და წერილობით სახელს უტეხდა არამც თუ ზოგიერთ წევრს ჩვენის წრისას, არამედ მთელ ქართულ წრესაც. 2) ბრალსა ვსდებთ იმაში, რომ განზრახ არ სპობდნენ დამოკიდებულებას იმ პირთან, რომელიც სწერდა დამასმენელ წერილებს (დანოსებს) ჩვენის წრის ზოგიერთ წევრების შესახებ. 3) ბრალსა ვსდებთ, რომ გამართეს საღამო იმ პირობებში, რომლებზედაც არ დასთანხმდა სტუდენტთა არც ერთი კორპორაცია, უწოდეს ამ საღამოს „ქართული“ და მით საბუთი მისცეს საზოგადოებას ეფიქრა, რომ ამ საღამოს მართავს ქართველთა ყველა მოსწავლე ახალგაზრდობა. 4) ბრალსა ვსდებთ იმაში, რომ 6 თებერვალს, იანვრის სისხლის წვიმების შემდეგ, შესაძლებლად სცნეს გაემართათ ოპერა ქართულ ენაზე, მიუხედავად იმისაც-კი, რომ ოფიციალურად ვსთხოვეთ, რათა განსაცდელ მომენტის გამო ხელი აეღოთ ამ საქმეზე. 5) ბრალსა ვსდებთ იმაში, რომ

---

*) ჩვენ არ ვამტკიცებთ და არც ვამტკიცებდით, რომ უკანასკნელ „დანოსი“-ს არსებობა მათ მარშან იცოდნენ; ხოლო ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ წელს ეს ამბავი მათთვის უკვე აღარ იყო საიდუმლო, მაგრამ ამ გარემოებამ მათ მაინც არ გაა-

ბურჟუაზია-კი ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, ჩვენში განათლების საქმე შეაფერხოს. მაშასადამე, მხოლოდ ადგილობრივი ეროვნული თვით-მმართველობა მოგვანიჭებს თანამედროვე განათლებას, როგორც უმაღლესს, ისე სახალხოს და განავითარებს მრეწველობას, რომელიც შექმნის და განაძლიერებს პროლეტარიატს. ნუ თუ ამ საანბანო ჭეშმარიტებასაც უარ-ჰყოფთ, ცენტრალისტო დასელებო?! და თუ არა, რატომ მიჰკედლებიხართ ეროვნულ საკითხში დახავსებულ, ცენტრალისტურ ბიუროკრატიას! ნუ თუ ვერა ჰხედავთ საითკენ მიჰყავხართ თქვენს მოძღვრებას?!

ვასილ წერეთელი

გლეხების მოძრაობის შესახებ

(მოხუც მემამულის მოსაზრება)

როგორც მოგეხსენებათ, 31 მარტს ამ წლისას იყო დანიშნული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. თავმჯდომარემ გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელმა გამოგვიცხადა, ორი საგანი გვაქვს გასარჩევათ: პირველი—ხელმწიფე-იმპერატორთან ადრესის გაგზავნა და მეორე—რა ღონისძიებები მივიღოთ, რომ გლეხების მოძრაობა დავამშვიდოთ, ეხლანდელ აუტანელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ, კარგსა და ნორმალურ მდგომარეობაში ჩავაყენოთ. თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო, კრება გადაედვა მეორე დღისათვის, იმავე დღეს კერძო კრება ყოფილიყო, რათა შეემუშავებინათ ადრესი. კერძო კრებამაც და მეორე დღეს საგანგებომაც ბეჯითად განიხილა საკითხი და დაადგინა ავტონომიის მოთხოვნა. ამრიგად, პირველი საკითხი გადაწყდა. რადგანაც გვიან იყო, კრება გადიდო მეორე დღისთვის, მეორე დღეს გავიგეთ, რომ სულ აღარ იქნება კრებათ. ხოლო საჭირო და სანქარო საქმე გლეხების მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ დაგვრჩა შეუსრულებელი. ყველა ქართველების საერთო საქმე ასე ბოლოვდება ერთმანეთის შურის და უთანხმობის გამო.

სამოცდა ათის წლისა გახლავართ მრავალ ჩვენს კრებაზედ დავსწრებივარ და არ მახსოვს, რომ რამე ჩვენი საერთო საქმე ურთი-ერთის თანხმობით გათავებულიყოს და ერთმანეთში შეტაკება არ მომხდარიყოს. სათავადო აზნაურებიც დიდი შევიწროებულნი იყვნენ თავადებისაგან, მაგრამ ამ აზნაურებს მალე გაუთავეს საქმე თავადებთან მორიგებით იმ დროის მაზრის „სუდიებმა“ და მშვიდობით გამოუსალმნენ ერთი ერთმანეთს. ეს მოხდა მთავარმართებელ ნეიდგარდის დროს და ამანვე ამ საქმისთვის დააჯილდოვა იმ დროის მაზრის „სუდიები“.

ყმების განთავისუფლების წინა დღეებში, ტფილისის გუბერნიის მარშალმა აცნობა თავად-აზნაურთ, რომ მათ წერილით გამოეთქვათ თავიანთი აზრი—როგორ განეთავისუფლებინათ თავიანთი ყმები; გორის მაზრიდან იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილებმა მარშალს წერილით აცნობეს, რომ ყმები უნდა უფულოდ მამულით განთავისუფლდნენ, რადგანაც უმამულოდ გლეხი ისევ ყმა იქნება მამულის პატრონისა. ამ საგანზე რომ კრება მოხდა, სადაც მეც დავესწარი, მარშალმა წაუკითხა კრებას წერილი მამაცაშვილებისა, რომლებიც თხოულობდნენ, რომ უფულოდ ყმების განთავისუფლება მომხდარიყო მამულით. ამაზედ დიდი უარი სთქვეს ჩემ თავად-აზნაურთა, რომლებსაც ბევრი ყმები ჰყვანდათ. მაგრამ ხსენებულ მამაცაშვილებმა მაინც არ დაიშალეს და თავის ყმები მამულით უსასყიდლოთ განათავისუფლეს და იმათ, ვისაც მამული არ ჰქონდათ, იმათაც მისცეს. ორმოცი წელიწადი შესრულდა, რაც ვითომ ყმობა გადავარდა, მაგრამ ისევ ყმები არიან, რადგანაც მამულის გადასახადს უფრო მეტსა იხდიან, ვიდრე იხდიდნენ ყმობის დროს. ჩემის აზრით, „ნადელი“ გლეხებს უნდა დაუთმოთ უფასოდ, რომ არაფერი საქმე არა გვქონდეს მათთან.

ამგვარმა უმამულოთ განთავისუფლებამ მხოლოდ ერთმანეთს გადაჰკიდა და დღევანდელი მოძრაობა გამოიწვია. მომრიგებელ შუამავალთ არავითარი შუამავლობა არ გაუწევიათ, არ მოგვარიგეს, მომატებული საქმეები დროებით ვალდებულ გლეხებისა და მემამულეს შორის გაურჩეველია და ბევრი საქმე, ხუთმეტი წელიწადი მეტია, შესრულებას მოელის და არ სრულდება. ამ ორმოცის წლის განმავლობაში, რასაკვირველია, გლეხები გამრავლდნენ, „ნადელები“ დაიყვეს. ნამდვილად ვიცი, ზოგიერთ კომლს თითო დღიური-და აქვს. ერთი დღიური რა მამულობას უზამს! ამისთვის ფრიად საჭიროა დამატება მამულისა უფასოდ. სრულებით უმამულო გლეხებს და მცირე „ნადელის“ პატრონებს უნდა მიეცესთ საკმაო მამული უფასოდ. იმ მამულების მაგიერ, რომელიც მიეცემათ მამულის პატრონებისაგან გლეხებს, იმას სამაგიეროთ მამულის პატრონები მთავრობამ უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფო მამულიდან, ან ფულით, რადგანაც თვით თავად-აზნაურნიც გაჭირვებულნი არიან და გადარიბებულნი. ყველა წოდებას გაუჩნდეს ექნებათ ნება გამოტანონ თავის სახლისთვის სახელმწიფო და საბატონო ტყეებიდან საწვავი შეშა და ფიჩხი უფასოდ; აგრეთვე არ დაუშალოთ წყალი და საძოვარი შინაურ სხვილ-ფეხ საქონლისთვის და ღორ-ხბოსთვის იმ ადგილებში, სადაც არ იქნება მოხნული და არ არის სათიბი. არ იქნება ურიგო და საჭიროც არის, რომ ეხლავე გუბერნიის მარშალმა მოახდინოს კრება, რომ ამოარჩიონ სანდო, განვითარებული პირები, რომლებმაც მოიწვიონ გლეხების წარმომადგენლები და ერთმანეთის შეთანხმებით შეადგინონ მორიგების წესები და ნამესტნიკს წარუდგინონ დასამტკიცებლად და რამდენიც მამულები ჩამოგვერთმევა თავად-აზნაურთ გლეხების დასაკმაყოფილებლად, სამაგიერო მოგვეცეს სახელმწიფო მამულებიდან, ან ღირებული ფასი ფულად. ის უფრო არ ჯობინება, რომ ჩვენივე საქართველოს მამულები ჩვენ დაგვირიგდეს, ვიდრე სხვა ტომებს, რადგან არ არის არც ერთი სახელმწიფო მამული, რომ ქართველების სისხლით არ მორწყულიყოს.

იმედი მაქვს. ზემო მოხსენებულ საშუალებით შეიქმნებიან დაკმაყოფილებული როგორც გლეხნი, აგრეთვე თავად-აზნაურნი. უნდა აღვიაროთ გულ-ახდილად, რომ ეს ოთხმეტი წელიწადია, რაც სოფელში ვცხოვრობ, და ვხედავ რა აუტანელ გაჭირვებაშია გლეხობა და მასთანვე არა უკეთეს მდგომარეობაში არიან ხელ-მოკლე აზნაურებიც. ამისთვის უნდა ვიღონოთ, რაც შეიძლება მალე, ყოველივე საშუალება, რომ ეს დღევანდელი მოძრაობა მოვსპოთ, თორემ უარეს მდგომარეობაში ჩავცვივდებით კიდევაც. დიდი მომთმენი და სულგრძელი ყოფილა ჩვენი გლეხობა, რომ აქამდინ გაჩუმებული იყო.

ზაქარია იოსების ძე მამაცაშვილი.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 5 მაისს, **ნამესტნიკი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი** უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ როგორც ვუწყით, ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოებს არა ერთხელ აღუძრავთ შუამდგომლობები **საერობო დაწესებულებების შემოღების** შესახებ. ეხლა ნამესტნიკის კანცელარიას საკრებულოებისათვის მოუთხოვნია ცნობები, ამ შუამდგომლობათა შესახებ.

◆ **გაზეთ „ნოვოსტ“-ში-ვკითხულობთ:** „პირველი რეფორმა, რომელიც განხორციელებული იქნება კავკასიაში ნამესტნიკის ჩასვლის შემდეგ, არის საერობო დაწესებულებათა შემოღება. რადგან საჭიროა ჩქარა იქნას განხორციელებული ეს საქმე და რადგან ამას კავშირი აქვს კავკასიელთა მონაწილეობასთან საერთო სახალხო წარმომადგენელთა კრებაში, ტფილისში თათბირი მოხდება, რომელსაც წარედგინება განსახილველად საკითხი იმის შესახებ, შემოღებულ იქნას კავკასიაში ერობა 1890 წლისა თუ 1864 წლისა თუ გადიდებულ იქნას ერობის შემოღება იმ დრომდე, ვიდრე განსაკუთრებული კომისია გადაათვალიერებს ამ დებულებებს. ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება „ნოვ. ობ.“-ს ყოფილი რედაქტორი გ. მ. თუმანოვი, რომელიც ამ საქმისათვის საჭირო მასალასა ჰკრებს. პროექტი, რომელიც თავ. თუმანოვმა ამ რამდენისამე წლის წინად ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას წარუდგინა და მიღებულიც იქნა, ეხლა თხოულობს ხელ-ახლა გადათვალიერებას“.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სოფელ **ქვემო ჭალაში ერთი როტა ჯარის-კაცი იმყოფებოდა** წესიერების დასაცველად, მაგრამ იქაური გლეხები ისე იქცეოდნენ, რომ ჯარს წესიერების აღდგენა არ დასჭირვებია. პირველად ეს ჯარი ხალხის ხარჯზედ იყო, ბოლოს-კი თავისაზე. ამ ბოლო დროს ჯარის კაცებსა და გლეხებს შორის კარგი განწყობილება ჩამოვარდა. რასაკვირველია ამის შემდეგ ჯარის ჭალაში გაჩერება უსარგებლოდ სცნეს და ქალაქს დააბრუნეს.

◆ როგორც მიხაილოვიდან გვატყობინებენ, 5 მაისს, საღამოს 9 საათზე, ქუჩაში ვიღაცამ რევოლვერით დასჭრა **ბოქაული უზანაძე**. დამნაშავენი მიიმალნენ.

◆ **სად. ქვალონი.** 5 მაისს, ნაშუადღევის 12½ საათზედ, ოთხი შეიარაღებული კაცი შევიდა კასაში, წაიღო 137 მანეთი და 60 კაპ. შემდეგ ავაზაკები მივიდნენ სადგურის უფროსის სადგომში, წაიღეს 66 მ. ფულად და ვერცხლეული. სადგურის თანაშემწეს წაართვეს 12 მ. 50 კ. მორიგ მესრეს—18 მ. მანეთი და ბოლოს ტყისკენ წავიდნენ.

◆ როგორც ვწერდით, **ტრამვაის დირექციამ და მოსამსახურეებმა** დაადგინეს ზოგიერთი სადავო საქმე სამედიატორო სასამართლომ გადასწყვიტოს. დირექციამ მედიატორებად აირჩია ინჟინერი მუხარინსკი და ქ. როსტოვის ტრამვაის დირექტორი. ამ პირთა დანიშვნაზე მსახურთ უარი განაცხადეს, რადგან ისინი უსახელო საზოგადოების წევრებად ყოფილან.

◆ **ფოთი:** როგორც დეპეშით გაცნობეთ, დილის თერთმეტ საათზე, რიონის ახალ ხიდზე, რომელიც შუა გულ ქალაქშია, ექვსი შეიარაღებული ავაზაკი თავს დაეცა პორტის ამშენებელ მოიჯარადრეთა ბუნგეპალოშკოვსკის მერატელეს მუჩნიკს, რომელსაც ხაზინიდან გამოტანილი ფული კანტორაში ველოსიპედით მიჰქონდა. ბოროტ-განმზრახველებმა, რომელთაც 1000 მ. მოიტაცეს და მერატელე ცემა-ტყეპით გაისტუმრეს, იქვე ქალაქის თვით-მმართველობის სახლის წინ ჩამოირბინეს და უნდოდათ იქვე მდგომ ეტლით ესარგებლნათ და გაქანებულიყვნენ, მაგრამ მეეტლე ხელიდან გაუსხლტათ და დაუყოვნებლივ ეს ამბავი გამგეობის მოსამსახურეთ აუწყა. ავაზაკებმა ისევ ფეხით გაქცევა იკადრეს. მათ კვალ-და-კვალ გამოუდგნენ გამგეობის მოსამსახურენი. როზენსკის ქუჩაზედ, სადაც ავაზაკების მდევრებს პოლიცია და ყაზახ-რუსები მიეშველნენ, ატყდა ისეთი თოფის სროლა, რომ მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ადმინისტრაციამ ოთხი შეიპყრო. ორი მათგანი ყაზ-რუსების ტყვიითაა დაჭრილი და ორიც დაუჭრელია, დანარჩენი ორი ყაჩაღი ფულიანათ ისე მარდათ გაიქცნენ, რომ მათი კვალი დღესაც ვერ უპოვნიათ. დაპატიმრებულთა სახელი და გვარი შემდეგია: ბარნაბა ალ. კარეგიშვილი (იმერელი), ლუკა ჩ. შენგელია (ეგრელი), ერმილე ი. კილაძე (გურულია). ამ ვაჟბატონისათვის, როგორც ამბობენ, გურიაში ქურდობისათვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ და ფოთს შემოფარებია. მეოთხე, რომელიც ზურგში ორი ტყვიითა დაჭრილი და თავს მამაცათ გრძნობს ილ. გიორგ ქილაბთარია (გურული). ამ შემთხვევის გამო ქალაქის ის ნაწილი, ახალი სოფელი, საითკენაც ქურდები დასამალავათ გაიქცნენ, გაჩხრიკეს და ყაზახებმა ალყა შემოარტყეს, მაგრამ ორი ფულიანი ავაზაკი რამ ჩაყლაპა, ვერ გაიგეს.

◆ ლეიპციგის უნივერსიტეტის სტუდენტი გერონტი ქაჩეიძე გვთხოვს დავბეჭდოთ: „ოქეანის გაზეთის საშუალებით უგულითადეს და განუსაზღვრელ მადლობას ვუცხადებ მანჯურიაში დროებით მცხოვრებ კავკასიელთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შეაგროვეს ჩემ სასარგებლოდ 500 მანეთი; სახელდობ: ი. ს. იორამაშვილს 25 მ., ლ. გუჯაბიძეს 3 მ.. ბ. გ. ბერეჟიანს 10 მ., გ. ბ. თავართქილაძეს 100 მ., ს. ჩოტაიშვილს 10 მ., გ. ხაინდრავას 10 მ., გრ. ძნელაძეს 10 მ., ალ. ხუდაიას 3 მ.. ქაშ. ნიკოლაიშვილს 5 მ., გ. ხუნდაძეს 10 მ., ილია შარამიძეს 10 მ., ივლიანე ხაინდრავას 50 მ., არ. გოგუშვილს 3 მ., მიხ. დამიას 5 მ., ავგ. ჯაყელს 10 მ., ას. წერეთელს 5 მ., ბიძა საგანიას 25 მ., მიხ. საგანიას 10 მ., გიორგი ელიაშვილს 10 მ., კონ. მატკავას 100 მ., ტიგუ ხურცაის 10 მ., ლეკარსი ღლონტს 25 მ., ერმილე სიხარულიძეს 10 მ., კონსტანტინე კომლატაძეს 25 მ., ვარდენ ხხაძეს 10 მ., აბკარ დასხარაანს 6 მ. აღნიშნულ ფულის შეგროვება ეკისრა ბ. ივანე სიმონის ძე იორამაშვილმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას გწირავ.“

◆ სოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა). 1 მაისს, საღამოს 6 საათზე, ურიადნიკმა შეიპყრო აქ ერთი ახალგაზდა კაცი, რომელსაც აგიტატორობას სწამებდა, და იმ ღამეს თავის ოთახში დაამწყვდია. მეორე დღეს, როდესაც ურიადნიკი და ტუსაღი ეტლით მიდიოდნენ რკინის გზის სადგურისკენ, შუა გზაზე დაუხვდათ რამდენიმე კაცი და დაჭერილი განთავისუფლეს. შემდეგ ურიადნიკმა მოინდომა განეგრძო გზა სადგურამდე, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა და ურიადნიკი უკან დაბრუნდა.

◆ ჰქობი, როგორც გვატყობინებენ, 4 მაისს რკინის გზის იმ ქარხანაში, სადაც შპალებს მაზუთში ხარშავენ, მუშებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე, მაგრამ 5 მაისს ისევ განაახლეს.

◆ სად. მალაია. 5 მაისს, როდესაც მამედ-აბდულ-ოღლი საქონლის მატარებლიდან გადმოდიოდა, გადმოვარდა და ფეხი მოიტეხა.

რუსეთის ქრონიკა

მოსკოველი საზოგადო მოღვაწენი და აგრარული საკითხი. 28 და 29 აპრილს მოსკოვში შესდგა საზოგადო მოღვაწეთა

ზოგიერთი წევრი ახალ წრისა განზრახის ცილისწამებით ჩირქსა სცხებდა პატიოსნებასა და სახელს ჩვენის წრის ზოგიერთ წევრებისას.

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, თავის მხრივ, წარუდგინეს სამართალს შემდეგი ბრალდებითი პუნქტები:

1) ბრალსა ვსდებთ ძველის წრის წევრებს იმაში, რომ მას შემდეგ, რაც მოგვმართეს თხოვნით, მედიატორეთათვის მიგვენდო გარჩევა იმ ფაქტებისა, რაშიაც ისინი ბრალსა გვდებენ, თუმცაღა ჩვენის მხრით თანხმობა მიიღეს, მაინც არ მოუცადეს თავიანთ მიერვე მოწადინებულ სამართალს, როგორც ბეჭდვით, ისე სიტყვიერათ გაავრცელეს ყოველგვარი ხმები და ამით საზოგადოებას საბუთი მისცეს, რათა ჩვენ უზნეო და მცანარე კაცებათ მივეჩნიეთ. 2) ბრალსა ვსდებთ იმაში, რომ თ-დ მიქელაძემ გობეჩიასადმი წერილში შეურაცხჰყო მთელი ახალი წრე.

ურთი-ერთის შეთანხმებით მედიატორებად ავირჩიეთ: ცნობილი ნაფიცი ვექილი მ. ვინავერი, არა ნაკლებად ცნობილი საზოგადო მოღვაწე ა. ნოვიკოვი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ე. ტარლე და გაზეთ „სინ ოტეჩესტვა“-ს რედაქტორ-გამომცემელი, პუბლიცისტი ს. იურიცინი. ამათ თავმჯდომარედ აირჩიეს მეცოვანი პროფესორი ნ. კარეევი.

აქ უადგილო არ იქნება მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ საყურადღებო გარემოებაზე. ვიდრე საქმის გარჩევა დაიწყებოდა, ზემოხსენებული ჩვენი პუნქტები წარვუდგინეთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რომელთაც ეს „საშინელი ბრალდება“ შეურაცხებად მიიღეს, გააფთრდნენ და როცა ოდნავ დამშვიდდნენ, ასეთი წინადადება მოგვცეს: დავდვათ ურთი-ერთ შორის სამედიატორო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც გამტყუნებულმა მხარემ არამც თუ მიატოვოს სამუდამოდ უნივერსიტეტი, არამედ სამუდამოვე გამოესალმოს პეტერბურგსაო. ასეთ წინადადებაზე დათანხმება ჩვენ უმართებულოდ მივიჩნიეთ და აი, რატომ: კიდევაც რომ დაგვედვა ასეთი ხელშეკრულობა, გამარჯვებულ მხარეს არ ექნებოდა ხელთ არავითარი ზომა, რათა გამტყუნებული აეძულებინა პირობის ასასრულებლად, უკეთუ უკანასკნელი ნებაყოფლობით არ მოისურვებდა ამას. ეს ერთი. მეორეც ის, რომ ჩვენთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი გამტყუნებულნი იქნებოდნენ და ამიტომ სასურველად მიგვაჩნდა არა თუ გაძევება მათი უნივერსიტეტიდან, არამედ, პირიქით, მათი დარჩენა სასწავლებელში, რადგან ვიმედოვნებდით, რომ უნივერსიტეტში ყოფნა გაუნათლებდათ გონებას და შეაგნებინებდათ დღევანდელ მათ მოღვაწეობის უკუღმართობას, რათა შემდეგში მაინც აეცილებინათ თავიდან ყველა ის არა სასურველი საქციელი, რომლითაც წელს ასე ისახელეს თავი. ყველა ეს მივუგეთ პასუხად მათ წინადადებაზე, მაგრამ „შეურაცხყოფილნი ჭაბუკნი“ არა სცხრებოდნენ. თავისი მოთხოვნა სამედიატორო ხელშეკრულობის დადების შესახებ მათ სამართლის წინაშეც გაიმეორეს და თავ-გამეტებით ამტკიცებდნენ მის აუცილებელ საჭიროებას, რაზედაც ბ-ნმა მ. ვინავერმა თითქმის იგივე უპასუხა, რაც ჩვენ, სახელდობრ,—რომ მედიატორეთ მხოლოდ და მარტო უნდა განიხილონ საქმე და თავისი მსჯავრი წარმოსთქვან და არა დასაჯონ გამტყუნებული მხარე. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ სასჯელის მინიჭება კიდევაც რომ შეადგენდეს სამედიატორო სამართლის კომპეტენციას, მას (სამართალს, რასაკვირველია, და არა კომპეტენციას) არ მოეპოვება არავითარი საშუალება, რომლითაც შეეძლოს სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი. ეს გარემოება კარგად დავიხსომოთ და ახლა განაჩენი მოვისმინოთ.

აი განაჩენის პირიც:

„მედიატორეთა სამართლის განაჩენი შესახებ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა წრეების საქმისა.

„იმ უთანხმოების გამო, რომელიც მოხდა პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა წრეში და ეს წრე გაჰყო ორ მოპირდაპირე ბანაკად, ორივე მოდავე მხარემ დაადგინა, სამედიატორო სამართალს გადასცენ განსახილველად თავიანთი დავა; ამიტომ ერთმანეთის თანხმობით ამოირჩიეს ოთხი მოსამართლე, რომელთაც მიანდეს მეხუთე მოსამართლის არჩევა და ამასთანავე სამართლის თავჯდომარისა. ორივე მხრივ არჩეულთ—მ. მ. ვინავერმა, ა. ი. ნოვიკოვმა, ე. ვ. ტარლემ და ს. ვ. იურიცინმა იკისრეს ხსენებულ საქმის განხილვა და სამედიატორო სამართალში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს ნ. ი. კარეევი, რომელმაც იტვირთა აგრეთვე თავმჯდომარეობაც.

„სამართალმა, რომელიც მოხდა 1905 წლის თებერვალს, მარტსა და აპრილში, მოკამათე მხარეთა თავჯდომარეებად [1]) გამოვიდნენ.

1) ქართველთა ძველის ანუ დედა-წრისა, რომელშიაც დარჩა უმრავლესობა (74 კაცი [2]) პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზდობისა,—ბ-ნნი ალექსანდრე მიქელაძე, ილია ქარცივაძე, პეტრე ქავთარაძე, ვარლამ გელოვანი და გიორგი ყაზახაშვილი.

2) ქართველთა ახალ ანუ გამოყოფილ წრისა (49 კაცი)—ბ-ნნი დ. გაბაშვილი, გ. ასათიანი, დ. ვახსაძე, დ. ნატროშვილი და გ. დადიანი.

„თავიანთ სხდომებზე მოსამართლეებმა მოისმინეს გარდა მოკამათე მხარეებისა მათ მიერ წამოყენებულ მოწმეთა ჩვენებასაც და ხელთა ჰქონდათ აგრეთვე სხვა-და-სხვა წერილობითი საბუთები; ერთი მხარის თხოვნით (ძველის წრისა) რამდენიმე ამ საბუთებისა სამართალს წარმოუდგინა ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა უნივერსიტეტის არქივიდან.

„ზემოხსენებულ მედიატორეთა სასამართლომ განიხილა საქმის ყველა გარემოება და ერთხმად დაადგინა შემდეგი:

„პირველი. სასამართლოს აზრით, დამტკიცდა, რომ ახალ წრის წევრებს სცოდნიათ, რომ ერთი გარეშე პირი სწერდა უნივერსიტეტის რექტორს წერილებს, სადაც სახელს უტეხდა იგი პატიოსნებას ძველის წრის ერთი წევრისას, რომელიც იყო იმავე დროს ამ წრის წარმომადგენელი; ამიტომ სასამართლოს უმართებულოდ მიაჩნია საქციელი ახალ წრისა, რომ ამ პირთან არ მოუსპია დამოკიდებულება. თუმცა სჩანს აგრეთვე ისიც, რომ იმავე პირს მიუწერია პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისთვის, მაგრამ არ მოიპოვება დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს გარემოებაც აგრეთვე სცოდნოდა ახალ წრეს.

„მეორე. სასამართლოს მიაჩნია დამტკიცებულად, რომ ახალ წრის წევრებს სცოდნიათ ისიც, რომ პირველ მუხლში მოხსენებულმა პირმა საჯაროდ უწოდა ძველი წრის ორ წევრს (ერთი მათგანი წრის ხაზინადარი იყო) ჯაშუში და „ზოლდეჩი“;—და ამიტომ ჰფიქრობს, რომ იმის შემდეგ ამ პირთან დამოკიდებულების განგრძობა უმართებულოა.

„მესამე. სასამართლოს მიაჩნია აგრეთვე უმართებულოდ, რომ ახალმა წრემ თავის მიერ გამართულ საღამოს უწოდა „ქართული“, თუმცა ეს სახელწოდება ყოველთვის ეკუთვნოდა იმ საღამოებს, რომელსაც მართავენ ხოლმე ყველა ქართველები; მით უმეტეს, ახალ წრის წევრებს უნდა სცოდნოდათ, რომ გამოცხადება იმისა, რომ საღამოს შემოსავლიდან 15% გადაიდება ომში მოკლულთა და დაჭრილთა ოჯახების სასარგებლოდ,—სტუდენტობაში იწვევს თვალსაჩინო უთანხმოებას.

„მეოთხე. სასამართლოს გასაკიცხ საქციელად მიაჩნია, რომ მეორე წრემ გამართა აგრეთვე საღამო [1]) და მასთან ცეკვაც იმ დროს, როცა მთელი საზოგადოება განიცდიდა უმწვავესს ტრაგიკულ სულის კვეთებას, როცა საზოგადოების ამ გვარი მდგომარეობა განსაკუთრებით ემჩნეოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელს და არც ერთი ჯგუფი მოსწავლე ახალგაზდობისა არ მართავდა ჩვეულებრივ საღამოებს, მით უმეტეს—უნდა დავუმატოთ—რომ ძველი წრე ურჩევდა ახალ წრეს, ნუ იზამ მაგ საქმესაო.

„მეხუთე. ახალი წრე ბრალსა სდებს ძველ წრესა, რომ მას შემდეგ, რაც საქმის გარჩევა მიუნდეთ სამედიატორო სასამართლოს, ძველი წრე როგორც სიტყვიერად, ისე ბეჭდვით ავრცელებდა ჩვენს შესახებ სხვა და სხვა ხმებსაო; ამ მხრივ, სასამართლოს აზრით, არავითარი საბუთი არ ამტკიცებს, რომ ძველი წრის წევრთა საქციელი აღემატებოდეს უბრალო ჩვეულებრივ ლაპარაკსა და მითქმა-მოთქმას, რაც ბუნებრივად თან ახლავს ხოლმე ამ გვარ წაკიდებას, მით უმეტეს როცა ეს მითქმა-მოთქმა ორივე მხრივაა.

„მეექვსე. ბ-ნი დ. გაბაშვილი მართლა ჩირქსა სცხებდა, თუ არა თ-დ გელოვანის სახელსა? რაკი სასამართლოს ვერ დაესწრო მოწმე თ-დი კ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც გამოგზავნა წერილობითი ჩვენება, და რაკი თვით ბრალდებულმა უარჰყო ფაქტი, ამიტომ სამართალს არ ძალუძს, გადაჭრით სთქვას, რომ ბ-ნმა გაბაშვილმა უწოდა თ. გელოვანს მტაცებელი საზოგადო ფულისა; გარნა სასამართლო შესაძლებლად სცნობს, ფაქტიურის მხრივ გამტკიცებულად მიიჩნიოს ის, რაც სთქვა თვით ბ-ნმა გაბაშვილმა ამ ინციდენტის შესახებ. ამასთანავე სასამართლო აღიარებს, რომ ბ-ნ გაბაშვილს არა ჰქონდა საკმაო საფუძველი, გამოეთქვა თ-დ გელოვანისადმი ჩრდილის მიმყენებელი იჭვი—გულწრფელობა და უანგარობა გელოვანის საქციელისა მასთან მიბარებულ საზოგადო ფულის შესახებ.

„მეშვიდე. თ-დმა მიქელაძემ შეურაცხჰყო თუ არა მთელი ახალი წრე, ბ-ნ გობეჩიასადმი წერილში, ამის შესახებ სამართალი იმ აზრისაა, რომ იმ წერილით მიქელაძემ არ შეურაცხჰყო ახალი წრე, რადგან საქმე თ-დ მიქელაძისა და ბ. გობეჩიასი სრულიად კერძოა, და შეურაცხმყოფელი კილო თ-დ მიქელაძის წერილისა, რომელიც ბ-ნ გობეჩიასადმია მიწერილი, არ ეხება ახალ წრის პატიოსნებას.

„ეს განაჩენი, ყველა ხუთივე მოსამართლის მიერ ხელმოწერილი, ინახება სასამართლოს თავმჯდომარესთან; ხოლო განაჩენის პირები, შემოწმებული თავმჯდომარის მიერ, მიეცეს ორივე მხარეს. ს.-პეტერბურგი, 4 აპრილი 1905 წელი.

ნამდვილზე ხელს აწერენ: ნ. კარეევი. მ. ვინავერი, ა. ნოვიკოვი, ს. იურიცინი, ე. ტარლე.

ნამდვილთან სწორია—თავმჯდომარე სამედიატორო სასამართლოსი პროფ. ნ. კარეევი.“

აჰა განაჩენი. Sapienti sat! საინტერესოა ვიცოდეთ, კიდევ ისე მედგრად ადგანან ჩვენი მოწინააღმდეგენი თავის აზრს „სამედიატორო ხელშეკრულობის“ შესახებ, თუ არა? ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოების გამო რამდენიმე მეტად საყურადღებო დამახასიათებელი ფაქტი ვერ გამოირკვა სასამართლოში. მაგრამ ვიმედოვნებთ, კიდევ გვექნება შემთხვევა შევხვდეთ ჩვენს შეუდარებელ კომპატრიოტებს...

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრის წარმომადგენელი **ალ. მიქელაძე.**

P. S. უმორჩილესად ვთხოვთ „მოგზაურს“ და „ივერიას“ სასამართლოს განაჩენი გადაბეჭდონ უახლოესს ნომერში.

ა. მ.

---

[1]) დედანში შეცდომით ნათქვამია „თავმჯდომარეებად“ (председателями) უნდა იყოს—წარმომადგენლებად (представителями). ა. მ.

[2]) სიით ითვლება 85 კაცი, მაგრამ ამათგან 11 წევრი ამ ჟამად დროებით არ იმყოფება პეტერბურგში. ა. მ.

[1]) დედანში შეცდომითაა ნათქვამი—საღამო, უნდა იყოს ოპერა ანუ საოპერო საღამო, რადგან საკუთრად საღამო, 10 დეკემბერს გამართული, მესამე მუხლშია მოხსენებული. ა. მ.

და მეცნიერების წარმომადგენელთა თათბირი აგრარულ საკითხის შესახებ და შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: ვრცელი აგრარული რეფორმა არსებითი და გადაუდებელი სახელმწიფო მოთხოვნილებაა, რომლის ასრულება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ძირეულად შეიცვლება არსებული წესწყობილება. აგრარული რეფორმა უნდა იქნეს პირველი და უმთავრესი საგანი ხალხის წარმომადგენლობისა. სოფლელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, აგრეთვე ტეხნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობის ერთ გარდუვალ შემაფერხებელ გარემოებას ხვდება—მიწა ცოტაა და ამიტომაც აგრარულ პოლიტიკის უახლოესი მიზანი ამ შემაფერხებელ გარემოების მოსპობა უნდა იქნეს. სახელმწიფო ადგილებზე გადასახლებით საქმეს არ ეშველება, რადგან შესაფერი ნიადაგის და ჰავის თავისუფალი მიწა ცოტა აქვს სახელმწიფოს. ამიტომ საჭიროა უფრო ძირითადი რეფორმა გლეხთა მიწათ-მფლობელობის და მეურნეობის გასაუმჯობესებლად. აგრარული პოლიტიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება ვრცლად განვითარდეს, თუ საადგილ-მამულო ფონდად ჩაირიცხული იქნება არა მარტო სახელმწიფო მიწები, არამედ საუფლისწულოც, სამინისტრო და კერძო მემამულეებისაც; ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, შესყიდვით. აგრარულ რეფორმის განსახორციელებლად უნდა დაარსდეს სახელმწიფო-საზოგადოებრივი საადგილმამულო კომისიები; გარდა ამისა აუცილებელია საარენდო დამოკიდებულებათა მოწესრიგება საკანონმდებლო გზით. („ს. ო.“)

„წმინდა რუსეთი“. ასეთი სახელი ჰქვია ახალ პარტიას, რომელსაც მიზნად აქვს ებრძოლოს ყოველ პოლიტიკურ რეფორმას. ახალ პარტიის დევიზია—„რუსეთი რუსებისათვის“-ო; არა-რუსებთან დაახლოება დაღუპვაა რუსებისთვისო, ამბობენ ახალ პარტიის წევრები. („რუს“).

ვ. ი. კასპეროვი ფინანსთა სამინისტროში დიდი მოხელე იყო, დიდი ფულებიც ჩაუჯიბნია და გაპარულა კიდეც, მაგრამ ამ დღეებში დაუჭერიათ ქალაქ ჰელსინგფორსში. ეს დაჭერა ასე მომხდარა: 23 აპრილს ფინანსთა სამინისტროს ერთი მოხელე სრულიად შემთხვევით შეხვედრია კასპეროვს ერთ რესტორანში. მოხელემ კასპეროვის ვინაობა შეატყობინა მოსამსახურეს; მოსამსახურემ პოლიციას გადასცა; ეს უკანასკნელი დეპეშით შეეკითხა პეტერბურგში. მეორე დღეს ჰელსინგფორსში ჩამოვიდა საიდუმლო პოლიციის აგენტი და კასპეროვის ძებნას შეუდგა. სრულიად შემთხვევით კასპეროვი ერთ სასტუმროს ფანჯარაში დაინახა. აგენტი თავის ამხანაგებით შევიდა სასტუმროში, მივიდა კასპეროვის ნომერთან და კარზედ დააკაკუნა. კარი გაიღო და პოლიციელებიც საჩქაროდ შევიდნენ ოთახში. ერთი მათგანი დივანთან მივარდა და რევოლვერს დაავლო ხელი. სასტუმროდან კასპეროვი პოლიციაში წაიყვანეს და აქ გაჩხრიკეს. კასპეროვმა იკითხა—რამდენს ხანს გამაჩერებთ აქო.

— თქვენო აღმატებულებავ, დღესვე წავალთ პეტერბურგს თქვენთან ერთად, —უპასუხა აგენტმა.

დამტკიცებულია, რომ გასულ ზამთარში კასპეროვს წაუგია ქაღალდის თამაშში ორასი ათასი მანეთი. („ს. ო.“).

წერილები

კახეთი. გლეხთა დღევანდელ მოძრაობას თითქმის ბუნებაც თანაუგრძნობს. მასაც ხალხსა ვით გული ჩაუხვევია, მოქუშულა და შავ ფიქრებში გახვეული მოელის ბურუს ჯანყის შემდეგ კაშკაშა ბრწყინვალე დღეებს. ეს ერთი ხანია გამუდმებით სწვიმს. ხევები აადიდა, გზები გააფუჭა, მისვლა-მოსვლა გააძნელა. მართალია, ბუნება მრისხანებს, გაზაფხული გაზაფხულს არა ჰგავს, მაგრამ მისი ნამდვილი ამ სანატრელ გაზაფხულის ნიშნები-კია, ყველას გულმა სითბო იგრძნო, ყველას ძარღვებში სისხლმა მოძრაობა დაიწყო, გამოვიდა საბრძოლველად. აი გაიხედეთ ალაზნის ქედზე ყოველივე სულდგმული როგორა ხარობს—გალობს ჭიკჭიკებს, არ შეუშინდა იმ წყეულ სუსხიან მარტის მთვარეს, რომელმაც თოვლი მოიყვანა ცივ გომბორის მთის ფერდობებზე და კავკასიის მთის კალთებზე, აცივდა, პირველადვე სუსხი აგრძნობინა, უნდოდა ყველა გაეჩუმებინა, ახლად გაღვიძებული ტყე კოკორშივე ჩაეკლა, აყვავება აღარ დაეცალა.

ამ ავდრის დროს ერთი ურემი სალდათებით გადააბრუნა შეუპოვარმა კისისხევმა. თუმცა ხალხი გადარჩა, მაგრამ ერთი თუ ორი თოფი-კი მოუტაცნია წყალს. ამავე ხევმა გადააბრუნა დილიჟანი მგზავრებით, რომელთა შორის ქვემო მხარეს გამოსაძიებლად წასული ჟანდარმის უნტერ-ოფიცერიც იყო.

კიდევ

ნაბადა (შავი ზღვის პირად). ქალაქ ფოთიდან ქალაქ ყულევამდისა (იგივე ანაკლია) და დაბა ანაკლიამდის ამ დროში ძნელი, თითქმის შეუძლებელია უშიშრად და ფათერაკის შეუმთხვევლად გაიაროს კაცმა და მშვიდობით მივიდეს დანიშნულ ადგილამდე. გინდ ღარიბი იყოს და გინდ მდიდარი, ყველას სიცოცხლე აქვს გაპირვებული: მაწანწალა ავაზაკები ჩასაფრებულნი არიან ზღვის ნაპირად ჩირგვში და გამვლელსა და გამომვლელს ძარცვავენ. ჯერ მარტო აპრილში გაძარცვეს თხუთმეტამდე კაცი, მათ შორის უმეტესად მუშათაგანი. საწყალ ხალხს სიმწრის ოფლით ნაშოვარი ორიოდე გროში შინ მიჰქონდა, რომ ფოთში ეყიდნა სააღდგომოდ რამე და ბედნიერ დღეს მაინც თავისუფლად ამოესუნთქა, მაგრამ ყველაფერი წაართვეს. ალექსი მანიას წაართვეს ოცი მანეთი, პავლე გოგინავას ჩვიდმეტი აბაზი, ლევან გიგინეიშვილს ერთი მანეთი, თეიმურაზ ფიფიას სამი აბაზი და ასე, ამგვარად. საწყალ ორ ქვრივ ქალს, რომელნიც ფეხით ძლივს თურმე მიჩანჩალებდნენ ფოთისაკენ, წაართვეს თითოს ექვს-ექვსი აბაზი და ნამუსიც აჰხადეს. ერთის სიტყვით, წარმოუდგენელია ყველა ის საზიზღრობა, რასაც ეს ურცხვნი მაწანწალანი ჩადიან. მართალია, დიდი თანხა არ არის ზემოდ ნახსენები და ნაძარცვი, მაგრამ ნათქვამია: „რწყილს შაშარი ჰკრეს და მეტი აღარ დარჩაო“. სოფლის ღარიბ გლეხისათვის ეს გროშები მთელი საბედნიერ-დღეო სამზადისი იყო და ხელიდან გამოაცალეს. ასეთი ამბები თითქმის ყოველ დღე ხდება და, ვინ იცის, მოეღება-კი ოდესმე ბოლო?

ტყის კაცი

ხ. დიდი თონეთი (ტფილისის მაზრა). არც ეს სოფელი ჩამორჩა სხვა სოფლებს. ერთი თვეა, აქაც ამოძრავდა ხალხი და შეჰფიცეს ერთმანეთს ერთობა და ძმობა. ხალხი თითქმის ყოველდღე იკრიბება და ბჭობს თავის ჭირ-ვარამზე. აქ სულ სახელმწიფო გლეხები ცხოვრობენ. არც ერთი თავად-აზნაური არ არის. ერთად-ერთი მემამულე ცხოვრობს 3 ვერსტის მანძილზე სოფ. მოხისს—ნიკ. ყავრიშვილი. ამას წინად მოვიდა ბოქაული, რომელსაც გადასცეს თავიანთი მოთხოვნილებანი. ამასთან სოფელმა მოითხოვა, ანგარიში გაეწიათ სოფლის მოხელეებისათვის. სთხოვეს ბ-ნ ყავრიშვილს ეკისრა ეს საქმე. თითქმის ერთ კვირაზე მეტია, რაც მთელი სოფელი იკრიბება სკოლის დარბაზში და ანგარიშსა სწევს. ეს გარემოება არ იამათ მოხელეებს, რადგან პირნათლად არ იყვნენ საზოგადოების წინაშე. ბევრჯელ მამასახლისი არ მოდიოდა. სოფელმა აარჩია სამი კაცი და მიუგზავნა მამასახლისს, რომ მოსულიყო, მაგრამ მოსვლის მაგივრად მანგლისისკენ გაემგზავრა. მამასახლისის ჩასმენით სამი „სტრაჟნიკი“ გამოგზავნეს მანგლისიდან, უნდა ოთხი ყმაწვილი კაცი დაეპატიმრებიათ და მინგლისში წაეყვანათ, მაგრამ ეს რომ სოფელმა გაიგო, ასტეხა ზარების რეკა და მოგროვდა ხალხი, გადაუდგა გზაზე „სტრაჟნიკებს“ და არ გაატანა ყმაწვილები. უთხრეს, თუ ეს ოთხი კაცი წაიყვანეთ, ჩვენც წაგვასხითო; ესენი რას აშავებენ, რასაც ჩვენ ვთხოულობთ, ესენიც იმასა თხოულობენო. მამასახლისმა მთელი სოფელი შეჭამა და ანგარიშსა ვთხოვთ; მამასახლისი გვაბეზღებს, „ბუნტოვჩიკებს“ გვეძახისო და სხვა. „სტრაჟნიკებიც“ უკან დაბრუნდნენ ცარიელები. მეორე დღეს ბოქაულის ბრძანებით, მამასახლისი გამოცხადდა საზოგადოების წინაშე. ჩამოართვეს მამასახლისს ანგარიში—ბლომად მიურთმევია სოფლის ფული. ზოგი აპატია სოფელმა, მაგრამ მაინც ოთხმოც თუმნამდე დაედო სოფლის ვალი. მოსამართლეებსაც შეუჭამიათ სოფლის ფული და ამათაც ზოგი აპატია სოფელმა, ზოგიც ვალად დააწერა. მამასახლისს ნაღდი ფული დაედო სოფლისა 325 მანათი. წვრილი ნახარჯი 72 მანათი 75 კ. მოსთხოვეს ნაღდი ფული, მაგრამ არც ნაღდად მოიტანა და არც ხელწერილი მისცა სოფელს. ხალხი ძლიერ აღელდა, მაგრამ მშვიდობიანობას მაინც არ არღვევდა. მეორე დღეს მიჰგზავნა ხალხმა მამასახლისთან მღვდელი და მასწავლებელი, რომ მოსულიყო, ან ფული მოეტანა, ან ხელწერილი მოეცა. მაგრამ ვერ მოიყვანეს ვერაფრით და არც ხელწერილის დაწერა ისურვა. მერე წავიდა მამასახლისთან ბ-ნი ყავრიშვილი და მასწავლებელი. მთელი სოფელი თავმოყრილი ეკკლესიის გალავანში უცდიდა, რა პასუხს მოუტანდნენ მამასახლისისაგან. ამ დროს გავარდა ხმა, რომ ხოზეთიდან რუსებმა თონეთლების საქონელი წაასხესო. იგრიალა მთელმა სოფელმა და ხოზეთისკენ გაემართა (წინად ხოზეთი თონეთლებისა ყოფილა, ეხლა კი აქ ჩასახლებულ რუსებს უჭირავთ). დიდი სისხლის ღვრა მოხდებოდა, რომ ბ-ნი ყავრიშვილი არ დასწრებოდა. მანგლისიდან ამოვიდნენ პოლკის უფროსი თავის ჯარით და აგრეთვე პოლიციელები. საბედნიეროდ, შეტაკება არ მომხდარა. სოფლის თავში ცხოვრობს მამასახლისი და უკან დაბრუნებული ეს ამოდენა ხალხი მამასახლისის ეზოს ეწვია. ხალხმა მოსთხოვა მამასახლისს ნაღდი ფული 325 მანათი, მაგრამ მამასახლისმა სთქვა, რომ ფული არა მაქვსო. ხალხმა მამასახლისს ჩამოართვა ხელწერილი, რომ დრომდე არაფრის გაყიდვა არ შეეძლოს თავის უძრავ-მოძრავიდან, ეხლა კი არავის შეუძლიან მისვლა მამასახლისთან, რადგანაც ხალხმა შეჰფიცა ერთმანეთს. სოფელმა აარჩია ექვსი კაცი, რომ დროებით განაგონ სოფლის საქმეები. ეხლავე ეტყობა, რომ უკეთ მიდის სოფლის საქმეები ამ ექვსი კაცის წყალობით. დღედღეზე მოელიან მაზრის უფროსს. ორი დეპეშა გაგზავნეს მაზრის უფროსთან და სთხოვეს თითონ ჩამოვიდეს, რომ წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნილებანი.

მეგრელი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

5 მაისი.

პეტერბურგი, 4 მაისი. სახელობითი უმაღლესი უკაზი უმართებელეს სენატისადმი: ვიმედოვნებთ რა, რომ ჩვენ მიერ განზრახული ცვლილებანი გააადვილებენ გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის საქმეს, ვბრძანებთ: 1. გლეხთა მიწათ-მფლობელობის საქმის მოსაწესრიგებლად დაარსდეს კომიტეტი ადგილ-მამულების საქმეებისა; თავმჯდომარედ იქნება ჩვენის ნდობით აღჭურვილი პირი, მხოლოდ წევრებად მინისტრები საიმპერატორო კარისა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციისა, სახელმწიფო კანტროლიორი და აგრეთვე მიწად-მოქმედების და მიწად-მფლობელობის მთავარი მმართველი. 2. ამ კომიტეტის საქმე იქნება: ა) ხელ-მძღვანელობა ყველა საადგილ-მამულო და გლეხთა გადასახლების საქმეებისა; ბ) გლეხთა მიწათ-მფლობელობის მოწესრიგების საქმეები, რომელნიც არსებულ კანონის ძალით მინისტრთა კომიტეტის ხელშია; გ) ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა გლეხთა მიწათ-მფლობელობისა და გადასახლების საქმეებისათვის; დ) საქმეები, რომელთაც განაგებდნენ საადგილ-მამულო კრედიტის დაწესებულებანი და ე) განხილვა სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების წლიურ ანგარიშებისა, რომელთაც წარადგენს ფინანსთა მინისტრი. 3. კომიტეტის საქმეების გამგეობა მიენდოს ადგილ-მამულებისა და მიწად-მოქმედების საქმეთა მთავარ-მმართველს. 4. საადგილ-მამულო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს მიენდოს შემუშავება ამ კომიტეტის წესდების პროექტისა, რომელიც ჩვენ უნდა წარმოგვიდგინოს. 5. მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო გადაკეთდეს ადგილ-მამულის საქმეებისა და მიწათ-მოქმედების მთავარ სამმართველოდ შემდეგ უმთავრეს საფუძვლებზე: ა) სამინისტროს ჩამოერთვას სამთო საქმეები და გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს; ახალს მთავარ-სამმართველოს ხელში დარჩეს სამთო-საქარხნო მუშების მიწათ-მფლობელობის საქმე; ბ) ახალს სამმართველოს გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გლეხთა გადასახლების საქმეების მართვა-გამგეობა; გ) შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გადაეცეს აგრეთვე ახალ სამმართველოს არა-რუსთა მიწათ-მფლობელობის საქმეები. 6. საგლეხო მიწად-მფლობელობის გაუმჯობესობის განსაკუთრებულს საბჭოს დაევალოს შემუშავება ღონისძიებათა პროექტისა მთავარ სამმართველოსათვის, აგრეთვე ინსტრუქციისა საგლეხო ბანკისათვის. 7. საადგილ-მამულო და მიწად-მოქმედების საქმეთა მთავარ-მმართველს მიენდოს, შეიმუშაოს და წარუდგინოს სახელმწიფო საბჭოს პროექტი მთავარ-სამმართველოს შტატებისა და აგრეთვე იმ ცვლილებათა, რომელნიც უნდა მოხდეს არსებულ კანონებში ახალ დაწესებულების შექმნის გამო და 8. გაუქმდეს ჩვენის ბრძანებით 1903 წ. 2 ივნისს დაარსებული კომიტეტი საადგილ-მამულო კრედიტის საქმეებისა.

როსტოვი დონზე, 5 მაისი. კავკასის რკინის გზის გაფიცული მუშები შეიკრიბნენ ერთად, რიცხვით 3 ათასამდე და წარუდგინეს გზის ადმინისტრაციას შემდეგი მოთხოვნები: მოემატოს ჯამაგირს 75%, დათხოვნილ იქნან 6 ოსტატი, მიეცესთ წელიწადში ორჯერ ჯილდოთ ერთის თვის ჯამაგირის ოდენა და შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დრო. არც ერთი მოთხოვნა არ მიიღო ადმინისტრაციამ. მუშები წყნარად დაიშალნენ.

სასნოვიცი, 5 მაისი. გაიფიცნენ ზავერცის ქარხნის მუშები.

კოვნო, 6 მაისი. სფიჩქის ფაბრიკებში გამართული გაფიცვები გათავდა. ხელ-ფასი ასწიეს და სამუშაო დრო ათ საათზე დააყენეს.

პეტერბურგი. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დაარსებულ კომისიის 5 მაისის სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ, სათეატრო საქმეების ექსპერტებათ, მოსკოვის სახელოვნო თეატრის რეჟისორი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, პეტერბურგის სახელოვნო თეატრის რეჟისორები ე. კარპოვი და მალჩანოვი და საიმპერატორო თეატრების მსახიობი მედვედევი. შეეხნენ იმ უხერხულ მდგომარეობას, რომელშიაც ცენზურა აყენებს წარმოსადგენ პიესებს, პოლიციის მიერ თვალ-ყურის დევნებას პროვინციებში წარმოდგენების გამართვის დროს და სახალხო თეატრების მდგომარეობას.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 მაისი.

პეტერბურგი. 5 მაისს ოფიციალური ცნობები არ მოსულა შორეულ-აღმოსავლეთიდან

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი უმართებელეს სენატისადმი: განვიხილეთ რა სახელმწიფო საბჭოს დასკვნა იმის შესახებ, თუ რა უფლება უნდა ჰქონდეთ სამაზრო პოლიციის მოხელეებს მცხოვრებლების განათებულ და გამთბარ სახლების სარგებლობის საქმეში, როცა ისინი, სამსახურის საქმეებისა გამო დროებით დარჩებიან მაზრაში, ჩვენ ვბრძანებთ: 1903 წ. 5 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის საფუძვლით სამაზრო პოლიციის ურიადნიკები და სტრაჟნიკები, მაზრაში სამსახურის საქმეებისა გამო მოკლე დროებით ყოფნის დროს სარგებლობენ მცხოვრებელთა სახლებით, მათსავე ხარჯით განათებულ და გამთბარით“. ნამდვილზე საკუთარ ხელმოწერილია „ნიკოლოზი“.

უმოწყალესი რესკრიპტი ებოძა დეის. ტაინ. სოვეტ. ერმოლოვს სახელმწიფო საბჭოს წევრად დანიშვნის გამო.—უმოწყალესად ებრძანა გოფმეის. ბარონ როზენს იყვეს ამერიკის შეერთებულ შტატების საგანგებო მინდობილებათა ელჩად.

შანხაი. რუსის კრეისერი „პალლადა“, რომელიც ჩაძირული იყო პორტ-არტურთან, იაპონელებმა ამოიღეს წყლის ზედა-პირზე.

ტოკიო. აქ სრულებით არ არიან კმაყოფილი ადმ. ჟონკიერის მოქმედებით, მაგრამ მაინც იმედი აქვთ, რომ ბალტიის ესკადრის წასვლას ელირსნენ.

ტოკიო. ელოდებიან, რომ ბალტიის ესკადრა ამ კვირის ბოლოს ან შემდეგის დასაწყისს გაივლის ამოისა ან ფუჟოუსკენ. ჰფიქრობენ, რომ ესკადრის დიდი ნაწილი ხაინანთან დგას. ჩინეთის მოხელეები უარს ამბობენ ხაინანში დეპეშების გზავნაზე იმიტომ რომ, კაბელი გადაჭრილიაო. ჩრდილოეთ კორეიაში საყურადღებო ამბებს მოელიან. კორეიაში ომის დაწყების დღიდან 50 ათასი იაპონელი მოვიდა.

ნიუ-იორკი. ამერიკის ვლადივასტოკელმა კონსულმა აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ყველა უცხოელ საკომერციო აგენტს ებრძანა დასტოვონ ციხე და ამასთან ნება მიეცათ იცხოვრონ ზღვის პირის ოლქის დანარჩენ ქალაქებში.

გუნჩულინი. შეამჩნიეს, რომ იაპონელებმა გააძლიერეს იმ გზებისთვის თვალ-ყურის გდება, რომელნიც ჩრდილოეთისაკენ მიდიან; მიზნათ ის აქვთ, რომ არავინ არ გაუშვან ისეთი, რომელიც შესძლებს რაიმე ცნობა გაიტანოს მათ მდგომარეობის შესახებ. ეტყობა, მათ განზრახვა უნდა ჰქონდეთ ერთბაშად დასძრან ადგილიდან უკან მყოფი ჯარები და ჩვენთვის ამის გაგებინება არ სურთ. ხმა გავარდა, იაპონელებმა ჯარებს თავი მოუყარეს და ოპერაციების დაწყებას შეუდგნენ ვლადივასტოკის წინააღმდეგო. რამდენად ძნელად დასაჯერებელია ეს ხმა, იმდენად ადვილი შესაძლებელია ისა, რომ, დღეს, თუ ხვალ, იაპონელები შეერთებულის ძალით გამოილაშქრებენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ვ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 8 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანს და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრ. ნიეს ახლოს. (წ.—365—226)

ქ. ბათუმში
ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი
სტამბა
მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში
წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი
დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კავერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.

2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კანვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—14)

პირველი საწყობი
შეშისა
პ. ი. კურცხალიასი
ანდრეევის ქუჩა, დამოკის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადებული საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
(90—51) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ყვანჩულოვისა	1	—

Доз. цен. Тифлисъ, 6 Мая 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—ბ.